12

# საქართველოს ქალი

ISSN 0321—1509

1992

ეროვნული ბიბლიოთეკა

645
1992

გაგიჟება სიყვარულის ნიადაგზე,

ანუ ადელის სინდრომი

რეკომენდაციები ბერბიჭათა აღსაზრდელად

სიცოცხლისაგან მოპარული დრო

სექსი მშობიარობის შემდეგ

რას მოსდევს უნაყოფობა?

ქალთა წარმატების საიდუმლო

რატომ არ მივბაძოთ ევროპელ ქალებს?



ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის
ჟურნალი ქალებისა და
ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

მარიკა ბარათაშვილი,

ნაზი თარგამაძე,

ლია კაკაბაძე
(პასუხისმგებელი მდივანი),

ნაზი კილასონია,

ლაშა კიკალეიშვილი,

გუჩა კვარაცხელია,

ნანული ცაგარეიშვილი,

ცინარა ტერელაძე,
(მხატვრული რედაქტორი),

ირმა ჩოფიკაშვილი,

ნინო ჯავახიშვილი,

ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ და მეოთხე
გვერდებზე — ნინო ანანიაშვილი

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების
გამომცემლობა „საქშურნალი“.
მ. კოსტავას ქ. № 14.

„Sakartvelos Kali“
Georgian Woman
a Magasine for Women of the
Republic of Georgia

# კვლავაც

## დეპუტატების აზრით პარლამენტი შესძლებს საქართველოს გამოუყვანას კრიზისიდან

ვცდილობდით შორს ვმდგარიყავით პოლიტიკისაგან (მოგეხსენებათ, ჩვენს ჟურნალს სხვა — უფრო მშვიდობიანი მისია აკისრია), მაგრამ გულგრილნი მაინც ვერ დავრჩებით იმისადმი, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება. ქვეყანა პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობს. ამ ორომტრიალმა ჩვენც „ჩაგვითრია“. „საქართველოს ქალისათვის“ ინტერვიუ ვთხოვეთ ბატონებს — **ვალერიან ადვაძეს, ვალერი კვარაცხელიას, ნიკო ჭავჭავაძეს, ირაკლი შენგელაიას.** ამჯერად გვაინტერესებს ორი რამ:

— **შეძლებს თუ არა დღევანდელი პარლამენტი საქართველოს კრიზისიდან გამოყვანას?**

და მეორე:

— **საყოველთაო გაჭირვების ჟამს ქალები განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. რითი დაეხმარება პარლამენტი მათ?**

**ბ-ნი ვალერიან ადვაძე:**



— რასაკვირველია, შეუძლია. პარლამენტი დაამტკიცებს ახალ კონსტიტუციას, მიიღებს ახალ კანონებს, რომელთა განხორციელებაც ეკონომიკას გამოაცოცხლებს, რაც ერის გადარჩენის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ხალხის რჩეულთ ბევრი მოეთხოვებათ. პარლამენტში, საბედნიეროდ, ღირსეულნი ჰარბობენ. თუმცა ყველაზე ამას ვერ ვიტყვი.

აუცილებლად მიმაჩნია შეიქმნას რაიმე დემოგრაფიული სტრუქტურა, რომელიც ჩვენი ერის სასიცოცხლო პრობლემებს მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ გადაჭრის. ჩვენ ისეთი სახელმწიფო უნდა ავაშენოთ, სადაც არ დაიჩაგრება საქართველოს არც ერთი მოქალაქე.

— თუ საერთო მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, ისე ქალებს ვერაფრით ვუშველით. მანდილოსნებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს. მუდამ მათი პატივისმცემელი ვარ და ვიქნები კიდეც. პატარა ბიჭი მათ ლექსებსაც ვუძღვნიდი... შემდეგ საყვარელი მეუღლე, ქალიშვილი, კოლეგები... ერთი, ორი და თუნდაც მეტი ქალის უზნეობა მთლიანად ქალებზე წარმოდგენას ვერ შემიცვლის. სამოცი წლის ვარ და ჩემში ლამაზი ქალი ახლაც აღძრავს ესთეტიურ გრძნობებს. ეს გრძნობა თუ გამიქრა, მაშინ სიცოცხლეც არ ღირს.

ვსარგებლობ შემთხვევით და ჩემს სიყვარულს და მოწიწებას გადავცემ საქართველოს ქალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმედით



ბ-ნი ვალერი კვარაცხელია.

— იმედი, რა თქმა უნდა, მაქვს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვხედავ რეალურ გამოსავალს. იმდენ დროს ვხარჯავთ, ელემენტარულ საკითხებზე ისეთი დავა-კამათი ატყდება, რომ ამ დროში ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეიძლებოდა. ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ პარლამენტის შემადგენლობა ძალიან მრავალფეროვანია. სხვათა შორის, ასეც ველოდი. ჩემი პროგნოზი განაპირობა არჩევნების პროპორციული წესით ჩატარებამ, რაც მხოლოდ მაღალგანვითარებულ ქვეყნებშია გამართლებული. ჩვენს პირობებში არჩევნები მაჟორიტარული წესით უნდა ჩატარდეს. რას ვიზამთ, თანდათანობით დავიხვეწებით.

უპირველესად უნდა გადაწყდეს საქართველოს მოქალაქეობის საკითხი, შესაქმნელია ერთიანი არმია და, რა თქმა უნდა, ჩვენი მთავარი ამოცანაა ხალხის დაპურება. ვფიქრობ, შევძლებთ, უნდა შევძლოთ.

— სიმართლე გითხრათ, აგრესიულ ქალებს ვერ ვიტან. პირადად მე ქალი ღიმილითა და სითბოთი მეტს გამაკეთებინებს, ვიდრე ჩხუბით. ჩვენი ქალების ერთი ნაწილის გაუხეშება ცუდად გაგებულმა ემანსიპაციამ გამოიწვია. მამაკაცთან გათანაბრება იმას კი არ ნიშნავს, რომ ქალი მძიმე სამუშაოზე ვამუშაოთ. ქალი სუსტი არსებაა (მე ზოგიერთებს არ ვგულისხმობ), მას მოფერება და ყურადღება სჭირდება, რასაც სამწუხაროდ, ჩვენ, მამაკაცები, ხშირად ვერ ვახერხებთ. თუ პარლამენტი სწორი კურსით წარმართავს თავის საქმიანობას, ვფიქრობ, ჩვენი ქალებიც მალე იგრძნობენ შვებას.

გთხოვთ ჩემი საუკეთესო სურვილები გადასცეთ საქართველოს მანდილოსნებს.



ბ-ნი ნიკო ჭავჭავაძე.

— წინასწარ არაფრის თქმა არ მიყვარს, მაგრამ, ვფიქრობ, დღევანდელი პარლამენტი შეძლებს დასახული მიზნების შესრულებას.

— თქვენი ჟურნალის საშუალებით მინდა ბოდიში მოვუხადო მანდილოსნებს, თუმცა ღმერთია მოწამე, არაფერი დამიშავებია. პარლამენტის გახსნაზე ჩემ მიერ წარმოთქმული ერთი ფრაზა, სამწუხაროდ, ზოგიერთებმა არასწორად გაიგეს. ბევრმა მისაყვედურა. მერწმუნეთ, ქალების უდიდესი პატივისმცემელი ვარ და სწორედ ეს მინდოდა გამომეხატა. როგორც ჩანს, კარგად არ გამომივიდა. თქვენი სულგრძელობის იმედი მაქვს.

ჩემი ცხოვრების გზაზე ღირსეული ქალი უფრო მეტი შემხვედრია, ვიდრე ღირსეული მამაკაცი. ძველი თაობის წარმომადგენელი ვარ და ამდენად — ბევრი უბედურების მომსწრე. ყველა გაჭირვებამ ჩვენი ქალების ზურგზე გადაიარა. სწორედ დედებმა გადაგვარჩინეს და ახლაც მათ უნდა იტვირთონ ჩვენი ერის სულიერი და ზნეობრივი გადარჩენის უდიდესი მისია. უფრო მეტსაც გეტყვით. ჩემი აზრით, ქალების ნაკლიც მამაკაცების ბრალია.



ბ-ნი ელდარ შენგელაია.

— საქართველოს მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გააგრძელებს პარლამენტი მუშაობას. მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. პირველ რიგში, უნდა შეიქმნას ისეთი მექანიზმი, რომ პარლამენტმა შეძლოს ნორმალური მუშაობა. პირადი ინტერესები და ურთიერთობები უკანა პლანზე უნდა გადაიწიოს, რითაც პარლამენტში განხეთქილების საშიშროება მოიხსნება.

პრაქტიკულად შესაცვლელია მმართველობის მთლიანი სტრუქტურა. დღემდე მხოლოდ სტრუქტურები ვითარდებოდა, სახელმწიფოს განვითარება კი ერთ დონეზე რჩებოდა.

აუცილებელია თითოეული ქალაქის, რეგიონის თავისებურებების გათვალისწინება, ადგილობრივ მმართველობას მაქსიმალური თავისუფლება უნდა მიეცეს.

— რაც შეეხება ქალებს... ქალი იმდენად არის დაკავებული, იმდენი სოციალური პრობლემის წინაშე დგას, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს მისი გამოთავისუფლება. ეს ძალიან მძიმე პრობლემაა და იმდენად რთული გადასაჭრელიც.

პირადად მე კი, უპირველესად ქალს ვცემ პატივს და შემდეგ მის სამსახურეობრივ საქმიანობას და მდგომარეობას...

* * *

პარლამენტში ჩვენი სტუმრობა შეუმჩნეველი არ დარჩენია სახელმწიფოს მეთაურს ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს. გადმოგცემთ მისი და ყველა პარლამენტარის კეთილგანწყობას და საუკეთესო სურვილებს.

ახლა თქვენს საქმეს ველით, ძვირფასო პარლამენტარებო!

**მარინე ნაკაიძე**



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფაბრიკას თავისი ბედი აქვს, ქალს — თავისი

სამკერვალო ფაბრიკა „კოლხეთში" 1600-ზე მეტი ქალი მუშაობს, ფაბრიკას თავისი პრობლემები აქვს, ქალს — თავისი. მაგრამ ორივენი თითქმის ერთ ბედქვეშ არიან.

თბილისის ფაბრიკა „კოლხეთის" პირველი საამქროს გაჩირაღდნებული, ვრცელი ინტერიერი, დასუფთავებული, კოხტად მილაგებული საწარმოო უბნები. სადაც გაიხედავ, ყველგან მოფუსფუსე ქალია.

მესაუბრება ფაბრიკის დირექტორი ვალერიან გეგიძე:

— ფაბრიკაში 2800 ერთეული თანამედროვე, კომპიუტერული სისტემით აღჭურვილი უცხოური მანქანა-დანადგარი დამონტაჟდა, რომელზეც 9 მილიონი დოლარი დაიხარჯა. სპეციალისტები ადგილზე მომზადდა. ერთმა ჯგუფმა უცხოეთში შეითვისა „გერბერისა" და „ჯუკის" სამკერვალო ხელოვნების საწაულები.

პროდუქციის ასორტიმენტი ძირითადად იგივე დარჩა: ქალის ლაბადები, მამაკაცის პალტოები, ქურთუკები, შარვლები, პერანგები, ბავშვის ქურთუკები. წლეულს ას ოცი მილიონი მანეთის პროდუქცია ვაწარმოეთ. ეს კი არც ისე მცირეა ჩვენი დუხჭირი დროისათვის.

წინათ წარმოებული პროდუქციის 60 პროცენტი რესპუბლიკის გარეთ გადიოდა. ახლა სიტუაცია შეიცვალა. ძველი კავშირურთიერთობები გაწყდა. ფაბრიკა იძულებული გახდა ახალი პარტნიორები ეძებნა. ბოლო ხანს თურქეთის ფირმებთან „გრაციასთან" და „თურჯალირასთან" ხელშეკრულებები გააფორმა. იქიდან ნედლეული ნახევარფაბრიკატის სახით მოდის, ჩვენთან იკერება, ისევ უკან მიაქვთ თურქეთში, სადაც იღებენ და მხოლოდ ამის შემდეგ გადის სარეალიზაციოდ დასავლეთში.

— რა პროდუქციაა ეს?

— ქალისა და მამაკაცის მოკლე შარვლები. „კოლხეთის" ანგარიშზე უკვე არის საკმაო ოდენობის ვალუტა, თუმცა საბანკო სირთულეების გამო ჯერჯერობით ფაბრიკას ერთი ცენტიც არ მიუღია.

— სამეურნეო ანგარიშზე ვართ, — მეუბნება ფაბრიკის პროფკომიტეტის თავმჯდომარე ლია აროშიძე. 3400 მანეთი — ასეთია ჩვენი მუშის საშუალო ანაზღაურება. უჭირს დღეს ქალს. რა იყიდო, რით გამოკვებო ოჯახი, — ამაზე ფიქრი ართულებს ისედაც დამძიმებულ ცხოვრებას. ფაბრიკაში 12 მარტოხელა და 17 მრავალშვილიანი დედა მუშაობს. ბევრია გასათხოვარი. უმჯობესია ახლოს გავიცნოთ ზოგიერთი მათგანი.

ვინ იტყვის, შვიდი შვილის — ხუთი ვაჟისა და ორი ქალიშვილის დედააო სიმპატიური ქალბატონი, 41 წლის ცისმარი მიხანაშვილი.

— არ გიჭირთ შვიდი შვილის მოვლა?

— კარგები არიან, უპრეტენზიონი. უკვე დაიზარდნენ. უფროსი არჩილი 18 წლისაა, ჰუმანიტარულ ინსტიტუტში სწავლობს. უმცროსი — ლევანი გასულ სექტემბერს მივიყვანეთ სკოლაში. ათი სული ვცხოვრობთ სამოთახიან ბინაში, მაგრამ არ იფიქროთ, რომ ვწუწუნებდე.

მზა ნაწარმის საწყობის სექციონერს 1600 მანეთი აქვს ხელფასი, ქმარიც ასევე იღებს. ეს ხომ პურის ფულია მხოლოდ. სოფელში ბებიასეული მიწა აქვთ, ამუშავებენ და ესეც ეხმარება. — ბავშვები თავისუფალ დროს კინო-თეატრებში დამყავდა. ახლა მიმძიმს. ბილეთების ფასებმა საგრძნობლად იმატა, — საუბარს ამთავრებს ცისმარი.

ლამარა გიორგაძე მკერავია, მარტოხელა დედა ორ ბიჭუნას ზრდის.

— ამ ფაბრიკაში დიდი ხანია მუშაობთ? — ვეკითხები ლამარას.

— ათი წელი. ახალ უცხოურ მანქანებზე მუშაობა პირველად გაგვიჭირდა. თანდათან შევეჩვიეთ. საწუხარი ის მაქვს, რომ ქირით ვცხოვრობ, თვეში ოთხას მანეთს ვიხდი. 2 200 მანეთი მცირედი ანაზღაურებაა ახლანდელ მზარდ ფასებთან შედარებით. გვიჭირს ცხოვრება, მაგრამ თავს ზევით ძალა არაა, ქვეყანა განსაცდელშია.

ნინო კანდელაკი ოცდაორი წლისაა, შავგვრემანი, სიტურფით სავსე. იგი ხუთი წელია მუშაობს სამკერვალო ფაბრიკაში. დედაც მკერავია. ნინო ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების მეორე კურსის სტუდენტია. მისი ყოველთვიური გამომუშავება 2800 მანეთია.

— ეს ლაბადა ჩემი შეკერილია, 700 მანეთი ღირს, — ამაყად მაწვდის მაღალოსტატობით შესრულებულ ნაწარმს. ჰყავს მეგობრები. მან ისიც თქვა, რომ თანამედროვე დიასახლისმა კერვაც უნდა იცოდეს და საჭმლის მომზადებაც, რეცხვაც არ ეჩოთირებოდეს და სხვა წვრილმანი საოჯახო საქმეების კეთებაც. მძიმეა ქალის ტვირთი, მაგრამ თუ კერიის სითბო გინდა, უნდა ზიდო იგი.

ფაბრიკა არენდის წესით მუშაობს. პროდუქცია ჯერჯერობით არ არის კონკურენტუნარიანი. მკერავებს აქვთ ერთი ასეთი ტერმინი „შეჯდომა" და ნიშნავს ლაბადის ერთი ჩაცმის ან „ერთი წვიმის" შემდეგ გაფუჭებას, იაპონიის საფეიქრო წარმოებაში „შეჯდომა" მხოლოდ 0,2 პროცენტი ყოფილა, ჩვენთან, საქართველოში, თვით იაპონური ტექნოლოგიის პირობებშიც კი 8-12 პროცენტია.

ფაბრიკას თავისი ბედი აქვს. ქალს — თავისი. მაგრამ ჯერჯერობით ორივენი თითქმის ერთნაირად უჩივიან თავიანთ ხვედრს.

ზაურ მაკარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნინო ანანიაშვილი

## — პირველი რუსული კერძო პრემიის ლაურეატი



მიუხედავად იმისა, რომ ნინო ანანიაშვილს ქართველი მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდება, გთავაზობთ ინფორმაციას, რაც რუსულმა პრესამ „ზაიმეტა“ „ტრიუმფის“ ქართველი ლაურეატისათვის

50 000 დოლარი — ასეთია პრემია, რომელსაც რუსეთის საქველმოქმედო ფონდი „ტრიუმფი“ გადასცემს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს. ფონდი დააწესა რუსეთის უდიდესმა სააქციო კომპანია „ლოგოვაზმა“ და ყოველწლიურად 7 იანვრისათვის (მართლმადიდებელთა შობა დღისათვის) გადასცემს 5 პრემიას დაჯილდოებულთ.

„ტრიუმფის“ პრემია სხვა ამგვარი სახელმწიფო ჯილდოებისაგან მარტოოდენ შთამბეჭდავი ოდენობით როდი გამოირჩევა. პირობისამებრ, არც ერთ ორგანიზაციას და კერძო პირს არ შეუძლია წამოაყენოს თავისი კანდიდატი. პრემიის მაძიებლის წაყენებისა და არჩევის უფლება აქვს მხოლოდ იმ თორმეტწევრიან ჟიურის, რომელიც ჩამოყალიბდა რუსული კულტურის გამოჩენილ ხელოვანთაგან.

3 დეკემბერს გამოცხადდა თავისუფალი არჩევანის შედეგები. პირველი რუსული კერძო პრემიის ლაურეატები გახდნენ ლიტერატურათმცოდნე ს. ავერინცევი, ბალერინა ნ. ანანიაშვილი, რეჟისორი ლ. დოდინი, მსახიობი ტ. შესტაკოვა, მხატვარი დ. კრასნოპევცევი, კომპოზიტორი ა. შნიტკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცოცხლისაგან მოპარული დრო

## ქალთა კოლონია და მისი პრობლემები



მარიონოვის ქუჩა № 11. მაღალი, ცივი კედლის მიღმა — ქალთა კოლონია. ჩამორის ხუხხიანი ქარი ძველებში ატანს, საერთო რეჟიმის კოლონიაში მძიმე დანაშაულობებში მიიყვანა მსჯავრდებული ქალები. მათი სილუეტები აქა-იქ ლანდებივით გაიელვებენ და უჩინარდებიან. რუხი, მოსაწყენი ერთფეროვნება ხანდახან ირღვევა. აი, ახლაც ალაყაფის კარიდან მანქანა გამოვიდა. კოლონიის ექთანს ფეხმძიმე ქალი სამშობიაროში მიჰყავს. ახალი სიცოცხლე კოლონიაშიც ჩნდება. მეძუძუმწოვლის უფროსი ივეტა ლუხაწოვა დედა-შვილისათვის ახალი პირობების შექმნაზე ზრუნავს.

კოლონიაში დაუსაქმებელ ქალს ვერ ნახავთ. სამკერვალო საამქროში 18 ქალი თავდახრილი მდუმარედ მუშაობს. ბევრი რამ იკითხება მათ სევდიან მზერაში. ყოველდღიურად საშუალოდ ოთხმოც მანეთს გამოიმუშავებენ.

ისინი მეტწილად ახალგაზრდები არიან.

როგორ ცხოვრობენ ქალები კოლონიაში? ერთფეროვანი, უსიხარულო დღეები ფსიქიკაზე მოქმედებს, ზოგჯერ წინააღმდეგობასაც აკარგვინებს. წუთისოფლის დიდი დრო უაზროდ ელევათ ხელში. კოლონიის ხელმძღვანელობას სამუშაო დიდი აქვს, პირობები — არასასურველი. შენობა არ თბებოდა, ქალებმა პროტესტი განაცხადეს — არ ვიმუშავებთო, მიიღეს ზომები და საქმე მოგვარდა. დღეს პრობლემა ყველგან ბევრია, მით უფრო — კოლონიაში.

რამდენიმე მსჯავრდებულს გავესაუბრე.

მარიამ მ.-ს ხაზი ადრე გარდაეცვალა. დედას ოთხი შვილის მოვლა გაუჭირდა და გოგონა ბავშვთა სახლში მიაბარა. ბავშვი ობლობას განიცდიდა. მალე დედა მეორედ გათხოვდა და გოგონას იმედი გადაეწურა. 15 წლამდე ბავშვთა სახლში დაჰყო. შემდეგ ცუდ წრეში მოხვდა. 22 წლისაა და ექვსი წელი პატიმრობაში გაატარა. კოლონიიდან გაიპარა, უკან დააბრუნეს, თან სასჯელიც მოუმატეს.

— პირობებს მაინც და მაინც არ ვუჩივით. კვება ნორმალურია, გვაქვს კლუბი, ბიბლიოთეკა, კინოფილმებსაც ვნახულობთ, საღამოობით — ტელევიზორს ვუცქერით. მაგრამ თავისუფლად ყოფნას რა სჯობს? ჩემს წარსულზე რომ ვფიქრობ, მწარედ ვნანობ, ყველაზე მეტად ხომ საკუთარ თავს ვავნე.

დარეჯან ა.: — ქალისათვის მეტად ძნელია ციხის, კოლონიის მკაცრი გარემო. ვინც პირველ დანაშაულს მძიმედ განიცდის, შეეცდება მწარე გაკვეთილიდან საჭირო დასკვნა გააკეთოს. ერთში კი დარწმუნებული ვარ: კოლონიაში დამნაშავე არ სწორდება. იცით რატომ? ჩვენთან, სხვადასხვა კატეგორიის დამნაშავენი ერთად არიან. ეს ბევრ უსიამოვნებას იწვევს. აქ რას არ გაიგებ, რა სიგლახეს არ ისწავლი! არის ქურდობის შემთხვევები, ზოგჯერ ჩხუბი, ბილწსიტყვაობა და კოლონიის ახალი ბინადარნი ცუდ ჩვევებს იძენენ „დიდი სკოლა გავლილთაგან". ისიც ხდება — ახალგაზრდები, ალგზნებულნი, ფსიქიკადარღვეულნი ერთმანეთთან უძიებენ „სიყვარულს".

ძალიან ცუდია, რომ ოჯახის წევრებს წელიწადში მხოლოდ ორჯერ ვხვდებით. ერთი შვილი მყავს და მასთან შეხვედრის სურვილი მკლავს. ამანათებს კი შეუზღუდავად ვიღებთ. ამ მხრივ კოლონიის უფროსების მიმართ საყვედური არ გვეთქმის.

თამარ ბ.-ს მძიმე დანაშაულისათვის ათი წელი აქვს მისჯილი. წარმოებაში გულმოდგინედ, უწუნოდ მუშაობს. — თავდაპირველად ბევრნი ვიყავით — 1200 ქალი. ამნისტიას შემდეგ 86 დავრჩით. ქართულ მიწაზე მშვიდობა იყოს — ეს არის ჩვენი სალოცავი. პირობებს არა უშავს, მაგრამ სულ სხვაა შენი ჭერი. კოლონიის რეჟიმი ქალის სულს აუხეშებს. ძლიერი ნებისყოფაა საჭირო, ადამიანად რომ დარჩე და აქედან უარესი არ გახვიდე, ვიდრე შემოსვლისას იყავი.

მედეა ბ. — სამი წლის წინათ დამაპატიმრეს. მძიმე ავად გავხდი. კუჭის წყლული მქონდა და საავადმყოფოში მომათავსეს. გაწვრთნილი ქალი სიკვდილს გადამარჩინეს. ჩემი შვილების, ჩემი სალოცავი ბატების ბილეთი სანატრელი გამიხდა, ეს მიკლავს გულს. ახლობლებთან სისტემატური შეხვედრა, რაც აგრერიგად გვაკლია, ბევრად უკეთეს შედეგს გამოიღებდა, ვიდრე მათგან მოწყვეტა.

აქვეა სამლოცველოც. იგი პატიმარი ქალების ინიციატივით მოუწყვიათ. სად, სად და კოლონიაში სამლოცველო აუცილებელია. ხატის წინ ლოცვა და ცოდვების მონანიება ყოველი ადამიანის, მით უფრო, ცოდვილის სულს კათარზისს განაცდევინებს. სუ-









ლის განწმენდიდან კი იწყება ადამიანის ზნეობრივი დაბადება.

კოლონიის ყოფით პრობლემებზე გვესაუბრებიან:

**თინა გოგოლიშვილი**, უფროსის მოადგილე სარეჟიმო-ოპერატიულ დარგში: — მსჯავრდებულების პირობების გაუმჯობესება ჩვენი მთავარი საზრუნავია. ამინდის შესაბამისი ტანსაცმელი არ გვყოფნის. ამიტომ პატიმრებს საკუთარი თბილი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ტარების ნება დავრთეთ.

ერთჯერ და მრავალჯერ ნასამართლევი ქალები იზოლირებული უნდა იყვნენ ერთმანეთისაგან. ჯერჯერობით ეს არ ხერხდება, რაც არაერთ პრობლემას გვიქმნის.

**მზია გულბანიანი** — უფროსის მოადგილე აღმზრდელობით დარგში:

— 1928 წელს მიღებული კანონი შრომა-გასწორების კოლონიების შესახებ დღემდე ძალაშია, რაც ანაქრონიზმად შეიძლება ჩაითვალოს. მაგალითად, მსჯავრდებულს ოჯახის წევრებთან ხანგრძლივი შეხვედრა რატომ უნდა უნდებოდეს მხოლოდ ექვს თვეში ერთხელ? ამ უხერხულობით ბევრი პატიმარი ქალის ოჯახი დაინგრა. ანდა კანონით პატიმარი ერთ ჯერზე ოჯახის ორმა წევრმა უნდა ინახულოს. მაგრამ თუ ქალს სამი და ოთხი შვილი ჰყავს, როგორღა მოიქცეს? კოლონიას მართალია, აქვს სასტუმრო ოთახი, მაგრამ მატერიალური ბაზა ცუდია და შესაცვლელი. ჩვენ მაშინაც ვარღვევთ კანონს, როცა ნებას ვრთავთ პატიმრის ახლობლებს დადგენილზე ხშირად შემოუგზავნონ პროდუქტები.

ზოგჯერ მსჯავრდებულებს ხურთ თავიანთი ექიმი ჰყავდეთ, რაც კანონით აკრძალულია. ესეც უკმაყოფილების საბაბი ხდება.

**გოგი ლვინაძე**, კოლონიის უფროსი:

— წინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ მთავრობის წინაშე დასვა საკითხი, რომ მსჯავრდებულთა შრომითი გამომუშავების 50 პროცენტიც, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში ირიცხება, მათ პირად ანგარიშზე ჩაერიცხოს. ქალთა კოლონიის შენობა ძველია, არასტანდარტული,ავარიული და შეცვლას მოითხოვს. ტერიტორიას ხუთი ჰექტარი ფართობი უჭირავს. მიწისქვეშა კომუნიკაციები მთლიანად მოსაწესრიგებელია. ყოველთვიურად გამოშვებული სამი მილიონი მანეთის პროდუქციას, რაც ამ ხილუხპირის ყამს წელში გვმართავს, ჩვენი ხარჯების 80 პროცენტს ფარავს.

...მაგიდაზე წერილების გროვაა. მინდაბრუნებულთა მიერ გამოგზავნილი. ერთი მათგანი ასე იწყება: „მე არასოდეს დაგივიწყებთ..."

თბილისის მეტროსთვის ქუჩა № 11-ში ზუსტად მართლაც არასოდეს დაავიწყდებათ ამ ციხე კედლებში, მავთულხლართების მიღმა აკრძალულ ზონაში საცოცხლისათვის მოპარული დრო. ნეტავ ამ არდავიწყებამ უნდა იხსნას ისინი მეორმაგი საბედისწერო შეცდომისაგან.

**ეთერ ჯაფარიძე**

5

# ქალთა წარმატების საიდუმლო



## კლიმაქსი უბიძგებს ქალებს პოლიტიკაში აქტიურობისაკენ

**ელენ ფიშერი** — ამერიკელი ანთროპოლოგი, ავტორი წიგნისა: „სიყვარულის ანატომია: მონოგამიის ადიულტერისა და განშორების ბუნებრივი ისტორია".

„ნუ იქნები მხოლოდ საზოგადოების მშვენება, უმჯობესია მას რაიმე სარგებელი მოუტანო", — ხშირად მეუბნებოდა მამაჩემი, როდესაც პატარა გოგონა ვიყავი. ალბათ, ამ სიტყვების გაგონებამ სხვასაც მოუწია. დღეს, როგორც არასდროს, ქალები ისწრაფვიან პოლიტიკისაკენ. ტყუილად ხომ არ ჰქვია ამ წელიწადს „ქალების წელიწადი". სპეციალისტები თვლიან, რომ ქალების ასეთ აქტივობაზე გავლენა იქონია მრავალმა ფაქტორმა.

## „ქალის წელიწადი" შესაძლოა ათასწლეულში გადაიზარდოს

საერთო კულტურულ ფაქტორებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს დემოგრაფიულ და ბუნებრივ ბიოლოგიურ მიზეზებს.

რაც შეეხება დემოგრაფიას, აქ ყველაფერი ნათელია — საუბარია განსაზღვრული ასაკის ქალთა რაოდენობაზე განსაზღვრულ დროში. 1946 და 1964 წლებს შორის დაიბადა 76 მილიონი ამერიკელი. ომის შემდგომ წლებში შობადობის ბუმი დადგა. ამ დროს დაბადებული ქალები და კაცები ისე ინთქმებოდნენ საზოგადოებაში, როგორც ბაჭიები პითონის მუცელში. ისინი დაბადებისთანავე ახდენდნენ გავლენას საზოგადოების ცხოვრებაზე. მათი ინტერესები ემთხვეოდა საზოგადოების წინაშე მდგარ პრობლემებს.

ახლა, როცა იმ დროს დაბადებული ქალები კლიმაქსის ხანაში შევიდნენ, აუცილებელია განვიხილოთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: ქალის ორგანიზმში მიმდინარე ასაკობრივი სხვაობები გავლენას ახდენენ სოციალურ სფეროებზეც — ქალთა მისწრაფებაზე იმოღვაწეონ პოლიტიკურ სარბიელზე.

კლიმაქსისას ქალური ჰორმონის, ესტროგენის დონე საგრძნობლად ქვეითდება, რის შედეგადაც ადრე შეუმჩნეველი ტესტოსტერონის ბუნებრივი დონე უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ტესტოსტერონი — ბუნების ერთ-ერთი ძლიერი კოქტეილია. უფრო მეტად კაცური ჰორმონი ძირითადად ცხოველთა და ადამიანთა ისეთ თვისებასთანაა დაკავშირებული, როგორიცაა სიჯიუტე. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ კაცებს, რომლებმაც მიაღწიეს საზოგადოებაში მაღალ მდგომარეობას, ტესტოსტერონების დონე ემატებათ. მრავალ ქვეყანაში ხანშიშესული ქალები, (რომელთაც აღენიშნებათ ტესტოსტერონის მომატებული დონე) აღწევენ პოლიტიკურ, რელიგიურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარკვეულ წარმატებებს.

რა თქმა უნდა, ქალთა ამაღლებული სტატუსი მომწიფებულ ასაკში კულტურის დონითაც აიხსნება. ბავშვების მოვლასთან დაკავშირებული ყოველდღიური წვრილმანებისაგან განთავისუფლებული საშუალო ასაკის ქალები, უმეტეს დროს სახლის გარეთ ატარებენ. მაგრამ ბიოლოგია ამ შემთხვევაში მათ სასარგებლოდ მუშაობს.

იქონიებს თუ არა გავლენას ქალთა აქტივობა ჩვენ საოჯახო საქმეებზე? ფიქრობენ, რომ არა! არ არის აუცილებელი ძალაუფლება ერთ სფეროში სხვა სფეროებზეც გავრცელდეს. ასე, მაგალითად, მომუშავე ქალები ძველებურად ბევრ დროს ხარჯავენ საოჯახო საქმეებზე. ეს წესი ყველა ქვეყნისთვის ერთია: იქაც კი, სადაც ქალის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ მაღალია, მაინც თითქმის ყველა საოჯახო საქმეს ქალი ასრულებს.

ალბათ, სერიოზულ წინააღმდეგობას სქესთა შორის იმ შემთხვევებშიც არ ექნება ადგილი, თუკი ქალები უფრო დიდ პოლიტიკურ ძალაუფლებებს მიიღებენ. ამაში მათ ისევ ბიოლოგია დაეხმარებათ. იმ დროს, როცა ასაკში შესული ქალი მეტად თავდაჯერებული ხდება, იმავე ასაკის მამაკაცი უფრო თავმოყვარეობა შელახულია. ტესტოსტერონების დონე მამაკაცებში მაღალია 20-იდან 30 წლამდე, შემდეგ კი ის თანდათან კლებულობს. ამით შეიძლება აიხსნას, რატომ ხდებიან კაცები ასაკის მომატებასთან ერთად უფრო დამოკიდებულნი.

საზოგადოებამ ქალი ისეთ პირობებში მოაქცია, როცა მათ უფრო მეტი ძალაუფლების მიღება შეუძლიათ. ბიოლოგიური თავისებურებები კი მათ ამაში მხოლოდ ხელს უწყობენ.

მარგარეტ მიდმა ერთხელ თქვა: „არ არის ქვეყანაზე იმაზე ძლიერი ძალა, როგორიცაა პოსტკლიმაქსური ასაკის ქალთა ენთუზიაზმი".

ასე რომ, კულტურა და ბუნება ხელიხელჩაკიდებულნი მიაბიჯებენ.

„ნიუ-იორკ ტაიმსი"

თარგმნა **ნათია ჭყასალია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ციხის ექიმის მოგონებები

# ჩემი ნატვრის-თვალი

ნელი კახნიაშვილი პროფესიით ექიმია. ორმოცდაერთში ახალგაზრდა სპეციალისტი ომში გაიწვიეს. შინ დაბრუნებული თბილისის ციხის საავადმყოფოს მთავარ ექიმად გაამწესეს. ოც წელიწადზე მეტი იმუშავა იქ. „ვინ არ მინახავს, რა ხალხი არ შემხვედრია, დამნაშავეც, უდანაშაულოც... უკლებლივ ყველა... უპირველესად ადამიანი იყო ჩემთვის, გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანი და რითაც შემეძლო, ვცდილობდი ხელი შემეშველებინა". ეს არ გახლავთ ყასიდად, თავმოსაწონად ნათქვამი სიტყვები. მათი სიმართლე თბილისის ციხის ყოფილ პატიმრებს უნდა ჰკითხოთ. ქ-ნ ნელის დღემდე ყველა მათგანი ახსოვს. ალბათ, იმათაც ახსოვთ კეთილი ექიმი, რადგან არ შეიძლება შენი ცხოვრების ყველაზე ძნელ დროს ქალს დედა უწოდო და მერე ის დაგავიწყდეს. არა და, ასაკის მიუხედავად მას მართლაც „დედა ნელის" ეძახდნენ.

— დედაჩემი ცოცხალი იყო და ბავშვებს ის უვლიდა. სამსახურს მთელი დღე მიჰქონდა. ახლა რომ ვიხსენებ, ვხვდები, რა ძნელი და მძიმე დრო იყო. მაშინ სხვა თვალით ვუყურებდით ყველაფერს. ეს ის პერიოდია, როცა უმიზეზოდ, უსაფუძვლოდ კაცის ციხეში გაშვება თითქმის ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა.

— თუ გაგიგია. მერაბ ვაჩნაძე, ნატო ვაჩნაძის ყოფილი მეუღლე? ორმოციანი წლები იყო. პოლიტიკურზე დაიჭირეს და მოიყვანეს ჩვენთან. უკვე შემოდგომა იდგა. ვიცოდი, რამდენსამე დღეში რუსეთისკენ გააგზავნიდნენ. არც იმის უფლებას აძლევდნენ ახლობლებს, რომ რაიმე მიეწოდებინათ. გული მეტკინა. თვითონ ვიყიდე თბილი ტანსაცმელი და ქურთუკი. მისი გაოცებული სახე მახსოვს. გავიდა რამდენიმე თვე. კარებზე ვიღაცამ დარეკა. გავაღე. უცნობი, მშვენიერი ქალბატონი იდგა და მიღიმოდა. მერაბის მეუღლე აღმოჩნდა. მერაბმა მომწერა, მოძებნე ექიმი და მადლობა უთხარიო. მერეც, ქუჩაში რომ დავენახე, მოვიდოდა, ჩამეხვეოდა და ცრემლები აუციმციმდებოდა ხოლმე თვალებში.

ქურდები? ქურდების მეტი რა იყო. მაგრამ მათ შორისაც გამოერეოდა ხანდახან კაცური კაცი. ერთი ბიჭი გვყავდა. ერთ დღეს ატყდა დიდი ჩოჩქოლი. დამიძახეს. მივვარდი. ვხედავ, წევს ეს ახალგაზრდა იატაკზე და მაჯებიდან სისხლი გადმოჩქეფს. ყველაფერი გავუკეთე, რაც შეიძლებოდა. გადავარჩინე. მერე, როცა დამშვიდდა, დავუჯექი და ველაპარაკე, ასე რამ გაგამწარა-მეთქი. ციმბირში მიპირებენ გაგზავნას. მე იქ მაინც ვერ გავძლებ და ცოცხალი თავით არ წავალო. — მერე, შე დალოცვილო, მაგისთვის რად იკლავ თავს-მეთქი. გავუმზადე შერყეული ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობები და დავტოვე საქართველოში.

ერთხელ მოსკოვში ვარ, სასწრაფოდ თბილისში უნდა დავბრუნდე და დილიდანვე აეროპორტში ვარჩიე მისვლა. შენც არ მომიკვდე, სად არის ბილეთი! ვდგავარ შეწუხებული და უცებ ვიღაც კაცი მომვარდა, ჩამეხვია; ნელი ექიმო, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალეო! მთელმა დარბაზმა ჩვენ დაგვიწყო მზერა, თუ მიცნობო, მკითხა. ვუყურებ, ის არის, არ არის?! ეს ჩემი გადარჩენილი ბიჭი ისე დაკაცებულა, ძლივსღა ვიცანი. უცებ ბილეთიც მომართვა, წასვლამდე რესტორანშიც დამპატიჟა.

გასახსენებელის მეტი რა არის?! ერთსაც მოგიყვებით და ვიკმაროთ. ერთხელ შინ ვბრუნდებოდი და სახლთან ჩემი ქალიშვილის ამხანაგები შემხვდნენ. დეიდა ნელი, გვშია და უნდა დაგვაპუროთო. მაშინ ადამიანს სტუმრის დანახვის არ ეშინოდა. ავედით სახლში, გავუშალე სუფრა. მესმის, კარებზე ვიღაც რეკავს. გავიხედე. ერთი ჩემი კახელი პატიმარი, ციხიდან გაუთავისუფლებიათ და დიდი ხურჯინით შინ არ მომადგა?! შევწუხდი, მოვიკალი თავი, ამოდენა გზაზე მძიმე ტვირთით რამ ჩამოგიყვანა-მეთქი. თავდახრილმა ჩაილაპარაკა: თქვენ რომ არ ყოფილიყავით, ჩემი პატრონი ვინ იყოო და წავიდა.

შემოვბრუნდი ბიჭებთან. მესმის ჩემს წყალწყალა ღვინოზე იცინიან. მეც ეშმაკურად ვკითხე, რას ინატრებდით-მეთქი. კარგ კახურ ღვინოსო, მერე ზედ შოთები და გუდის ყველიც „მიაყოლესო". ცოტა ხანს მაცალეთ, ერთი ნატვრისთვალი მაქვს და ყველაფერს გაგიჩენთ-მეთქი. შემოვედი ოთახში ხელებდამშვენებული. გაიხარეს სტუმრებმა, თვალს არ უჯერებდნენ.

დღესაც მეკითხებიან, თქვენი ნატვრისთვალი როგორ არისო. მე მაინც მგონია, ყველა ადამიანი საკუთარ ნატვრისთვალს თვითონვე ქმნის. ძლევანი, იმ კახელმა ბიჭმა რომ მომართვა, განა ამაშენებდა? მაგრამ გამეხარდა. ციხიდან გამოსულ კაცს, რომ ისევ გაახსენდები, არ არის პატარა ამბავი.

დღეს კი რატომღაც დავკარგეთ მადლობის თქმის უნარი. ზედმეტად გულმავიწყები გავხდით. იქნებ უპირველესად იმიტომ, რომ სიკეთის კეთებაზე ავიღეთ ხელი?! არ ვიცი. ალბათ, ეს დროც გაივლის. ერთი რამის თქმა კი ნამდვილად შემიძლია: ყველამ საკუთარი ნატვრისთვალი უნდა შექმნას, თუნდაც ოთხმოცის იყოს და... კიდევ მეტის.

**ნინო ჯორბენაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თეატრი

## ანუ არის თუ არა თეატრის დრო?

მეზობელი ბინიდან ქალის სასოწარკვეთილი კივილი მოისმოდა დროდადრო, შვილი მოუკლეს დედას და ღამით მოუყვანეს.

გარეთ ციოდა, ციოდა სახლშიც, ჩვენი ყოფა, მძაფრად სუსხიანი, სიმყუდროვეს არ გვანებებდა.

მარიკა ამ დროის შესაფერისად გამოიყურებოდა — დიდი, ტკივილიანი თვალებით, ფერმკრთალი. გამხდარ მხრებზე თბილშალმოხვეული და მაინც შემცივნული, ყოველწუთს სოხუმიდან ზარის მომლოდინე. იქ ხომ მისი მეუღლე გიორგი ხაინდრავაა.

მარიკა ჭიჭინაძე — რუსთაველის თეატრის მსახიობი, ფანატიკურად შეყვარებული თავის პროფესიაზე. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე", „ვარიაციები თანამედროვე თემაზე", „შეშლილი, შეშლილი ახალი წელი", „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში", „მეფე ლირი". „სამგვარი სიყვარული" და სხვა. ფილმებში: „ქორწინება იმერულად", „წისქვილი ქალაქის გარეუბანში", „გოგია და ხარება", „მიახლოება", „ნინო", „ლერმონტოვი", ამათგან უმრავლესობაში მთავარ როლს თამაშობდა, დანარჩენში — ეპიზოდურს, მაგრამ ერთი საერთო თვისება აქვთ მის გმირებს — გულწრფელობა. ეს მარიკას თვისებაცაა.

ჩვენ ვსაუბრობდით გულწრფელად, ნაღვლიანად.

ამ დიალოგის მხოლოდ ნაწილს შემოგთავაზებთ.



**— მარიკა, ბატონმა გივიმ მითხრა, რომ ძალიან არ უნდოდა მსახიობი გამხდარიყავი (გივი ჭიჭინაძე მარიკას მამაა, ცნობილი პოეტი და მსახიობი). რატომ?**

— ახლა რომ ვფიქრობ, მამა მართალი იყო. მან კარგად იცოდა, რომ მსახიობს მარტო ნიჭი და მონდომება არ შველის, საჭიროა სხვა რამეც — ასე ვთქვათ, თავის გატანის უნარი. მე კი ეს უნარი არ გამაჩნია. ერთმა რეჟისორმა მითხრა, ასე არ შეიძლება, ბრძოლა უნდა შეგეძლოსო. იცით, როგორ ბრძოლაზეა ლაპარაკი? როცა როლს გართმევენ, კბილებით უნდა დაიცვა იგი, გაიწეწო, თავი გაიგიჟო, ან სხვას უნდა წაართვა, ანდა... უნდა იყო პირფერი და რა ვიცი კიდევ... მე ეს არ შემიძლია. ვერ ვიტან ისტერიულ ქალებს, ჩხუბს და აყალმაყალს ყოველთვის გავურბივარ. გაცლა, განზე დგომა — ეს ჩემი თვისებაა.

**— თავიდან რომ მოგეცეს არჩევანის საშუალება?**

— მაინც ამ გზას დავადგებოდი. თეატრი ბავშვობიდანვე ფანატიკურად მიყვარდა, მსახიობობა რომ მსურდა, საიდუმლოდ ვინახავდი. ხმამაღლა ვაცხადებდი, რომ თეატრმცოდნე ან ხელოვნებათმცოდნე უნდა გამოვსულიყავი, ისე კი, ჩუმად ვემზადებოდი ჩემთვის. ბავშვობაში ერთგვარი სამსახიობო სკოლა გავიარე.



ფილმიდან „ნინო ჭავჭავაძე"

# [illegible]

ხშირად მათამაშებდნენ პიონერთა სასახლეში, ან სკოლაში — მამაჩემის პიესებში. მერე ჩვენს ეზოში ვდგამდით მაშინდელ გახმაურებულ ფილმებს. ინიციატორი, რა თქმა უნდა, მე ვიყავი, მუდამ მსახიობური თამაში მწყუროდა. თეატრი ჩემთვის ტაძარი იყო, მსახიობი — ლამის ღმერთის ტოლი. მეშვიდე ცაზე დავფრინავდი და... თუ ზოგი იქიდან ნელ-ნელა ეშვება, მე ერთბაშად დავენარცხე... როგორ მინდა, სადმე წავიდე, უშფოთველ, მყუდრო ადგილას, ჩემს ქმარშვილთან ერთად.

**— ახლა თუ მუშაობ ახალ როლზე?**

— არაფერსაც არ ვმუშაობ. და ისიც კი არ ვიცი, რა ხდება ჩვენს თეატრში. განა იმიტომ, რომ იქ არ დავდივარ. დავდივარ და ძალიან ხშირადაც. ნორმალურად არავინ არაფერი იცის.

შეიძლება მარტო მე ვიყო დაჩაგრული და ხმა არ ამოვიღო, მაგრამ მე მთელი ახალგაზრდა მსახიობების უმოქმედობა მტკივა. ძალიან მიკვირს ახალგაზრდა რეჟისორებისა — ასე უმოქმედოდ როდემდე?

მსახიობს ხომ მუშაობა ჭირდება, განუწყვეტელი მუშაობა. მარტო თეორიული ცოდნა არაფერს შველის. იცით, მერე გვიჩნდება კომპლექსები და რამდენი ენერგია გვჭირდება, რომ იგი მოვიცილოთ. მოგეხსენებათ, თეატრში რეჟისორზეა ყველაფერი დამოკიდებული...

**— ამას წინათ თქვენი თეატრი ესპანეთში იყო. კალდერონის „ცხოვრება სიზმარია“ უჩვენეთ.**

— კი, მაგრამ მე არ მითამაშია, ჩემი როლი — როსაურა, სხვას მისცეს. არადა, რამდენი ვიმუშავე, რამდენი დრო და ენერგია დავხარჯე ტყუილად. ეს ჩემთვის დიდი ტრავმა იყო.

**— ამ ტკივილმა, ნერვიულობამ თუ გაგიჩინა შური, სამაგიეროს გადახდის სურვილი?**

— არა. იმ მსახიობს რას ვერჩი, ვინც უნებურად შემეცილა. დამნაშავე რეჟისორია. სერიოზულად ვცდილობ თავი ავიყვანო ხელში, ისეთივედ დავრჩე, როგორიც ვიყავი, არ გავუხეშდე. მარტო რომ ვყოფილიყავი, ალბათ ძალიან ცუდ დღეში აღმოვჩნდებოდი, მე კი ქმარ-შვილი მყავს და თავს უფლებას არ ვაძლევ, სიმშვიდე დავკარგო. გოგაც მიდგას მხარში, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ერთად ყოფნა არ გვიწევს. მისი თანაგრძნობა ძალიან მამხნევებს.

**— გოგა ახლა მინისტრია...**





— ოო, როგორ არ მინდა, ასე უწოდებდნენ. არც გოგას სიამოვნებს ეს, ვიცი. ერთი პერანგით წავიდა სოხუმში, წავიდა საქმისთვის და უცებ აცხადებენ ტელევიზიით: სახელმწიფო მინისტრი. გოგა არასოდეს ისწრაფვის თანამდებობისაკენ. ეს დროებითია. როგორც კი ყველაფერი მიწყნარდება, თავის საქმეს დაუბრუნდება.

**— სად გაიცანი გოგა?**

— კინოს სახლში და უცებ შეგვიყვარდა ერთმანეთი. ათი წელი გავიდა მას შემდეგ და სულ მეჩვენება, თითქოს ახალდაქორწინებულნი ვართ. შვილი კი უკვე რამხელა გვყავს.

შარშან, გოგა რომ დააპატიმრეს (100 დღე იყო ციხეში), თავიდან ძალიან დავიბენი, მაგრამ ჩემთვისაც მოულოდნელად, თავი ავიყვანე ხელში, უფრო შემართული გავხდი. ბრალდება ასეთი იყო: ტელევიზიის იარაღით ბლოკირების მონაწილე. არადა, მანამდე დაიჭირეს, სანამ გვარდია შემოვიდოდა. გოგას ტყვია ტყუილუბრალოდაც არ გაუსვრია, მისი იარაღი ყოველთვის კამერა იყო. ძალიან ბევრი ვინერვიულეთ მაშინ მეც და ჩვენმა შვილმაც.

რა ვქნა, არ მესმის იმ ქალების, რომლებიც ქმრებს პატივს არ სცემენ. კარგი მეუღლე, კარგი ვაჟკაცი ეს ხომ თვით ქალის ღირსებაა; ამიტომ ცოლი ყოველთვის ქმრის თავმოყვარეობას უფრო უნდა უფრთხილდებოდეს. ეს კაცის ბრალიცაა და... პირიქით.

გოგას გამო რამდენიმე როლზე ვთქვი უარი. ინტიმურ სცენებში ნამდვილად ვერ ვითამაშებ. შეიძლება ზოგს ეს ჩამორჩენილობად მოეჩვენოს. ამას წინათ ტელევიზიით შიშველი ქართველი გოგონები აჩვენეს. შევწუხდი, იმდენად არაბუნებრივად, შებოჭილად გამოიყურებოდნენ. ჯერჯერობით ისე არ „გავთავისუფლებულვართ“, ქართველი ქალების ამგვარი გამოსვლები ესთეტიურ სიამოვნებას გვანიჭებდეს. რაც ჩვენში ბუნებრივად არაა გამჯდარი, უცებ და ბრმად არ უნდა გადმოვიღოთ.

**— წეღან ისე მითხარი, თეატრისგან აღარაფერს მოველიო, მართლა ასეა?**

— რა ვიცი, რა გითხრა. სიამოვნებით წავიდოდი პერიფერიაში, ოღონდ თანამოაზრეთა ჯგუფი გამოჩნდეს. მუშაობა მწყურია. როგორ მომენატრა კარგი ნერვიულობა სცენაზე გასვლის წინ, ანდა ის გაურკვეველი გრძნობა სპექტაკლის შემდეგ — როცა ისევ სავსე ხარ და არ იცი, რა გააკეთო — გინდა დიდხანს სიარული ქუჩაში, ან ლექსის კითხვა, ან რაღაც ისეთი, რაც არ იცი — რა.

მომენატრა ორი მსახიობი სცენაზე, სადაც გარეგნულად არაფერი ხდება, მაგრამ შიგნით... იფრქვევა მთელი ვნებები. ფსიქოლოგიური თეატრი — აღარც კი გვახსოვს იგი...

იცით, მსახიობი ფსიქოლოგიც უნდა იყოს, ადამიანთმცოდნეც, ამასთანავე — ემოციურიც. მხოლოდ მშრალი ცოდნა და განათლება არაფერს ნიშნავს.

ამბობენ, ახლა რა დროს თამაშია, რა დროს თეატრია... პირიქით, უფრო შემართულნი უნდა ვიყოთ, ტკივილი ხომ ამძაფრებს ჩვენს ვნებებს... და იგი თეატრიდან უნდა დაილვაროს. დე, ნუ იქნება მდიდრული კოსტუმები, დეკორაციები, ჩვენ მაინც უნდა ვითამაშოთ ისე, როგორც არასდროს.

არა, მე უთეატროდ მართლა არ შემიძლია ცხოვრება.

ესაუბრა **მანანა ზარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა





ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია

**შეკითხვები, შეკითხვები... რამდენი რამ აინტერესებს ახალგაზრდა დედას, ზოგი გულუბრყვილო, ზოგი — საფუძვლიანი. ყველა მათგანზე თანაბარი სერიოზულობით სცემს პასუხს ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი დოქტორი მიროსლავ მატოუშეკი**

# სიფრთხილეს თავი არ სტკივა

**— შემიძლია თუ არა გავანებივრო მოფერებით, ვკოცნო პატარა?**

— შეგიძლიათ დატკბეთ ურთიერთობით. ის კი არა, მოფერებას დიდი მნიშვნელობაც აქვს თქვენსა და ბავშვს შორის ემოციური კავშირის დასამყარებლად. ხშირად დატოვეთ შიშველი, რომ ბავშვმა შეძლოს შეუზღუდავად იმოძრაოს, აიყვანეთ ხელში, დაე ამოფოფხდეს თქვენს სხეულზე. მაგრამ ყოველივე ამისათვის უნდა შეარჩიოთ სათანადო დრო, ვთქვათ, დილას გაღვიძების შემდეგ, დაბანამდე და ა. შ. მაგრამ არასოდეს გააკეთოთ ეს ტირილის შესაწყვეტად. თორემ ბავშვი იფიქრებს: აი, რას შემიძლია მივაღწიო ტირილითო და მოუხშირებს ტირილს.

არ შეიძლება პატარას ტუჩებში ვაკოცოთ, რადგან თქვენს პირის ღრუში შესაძლოა საშიში მიკრობები იყოს, რაც სწრაფად გადაეცემა პატარას. უცხო ადამიანებს, სტუმრებს, მეზობლებს და სხვებს არ უნდა მისცეთ ბავშვის ხელში აყვანის, მით უფრო, კოცნის ნება. იქნებ გარეგნულად სრულიად ჯანსაღი კაცი ტუბერკულიოზის ბაცილის მატარებელია, რაც ძალზე საშიშია ბავშვისთვის.

**— მე კი მეგონა ტუბერკულიოზისაგან ის აცრა დაიცავდა, სამშობიაროში რომ გაუკეთეს.**

— ეს მხოლოდ ნაწილობრივ დაიცავს და ისიც გაკეთებიდან 6 კვირის შემდეგ. თუ ამ დრომდე ოჯახში გაჩნდება დაავადების კერა, ბავშვი იზოლირებული უნდა იქნას. აცრის შემდეგ, ბავშვი უფრო ძლიერად იღებს ბაცილას და თუ მაინც დაავადდა, ავადმყოფობა უფრო იოლ ფორმებში მიმდინარეობს. ასე რომ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა!

**— ამბობენ, ზოგი ბავშვი აცრას ძნელად იტანსო.**

— ტუბერკულიოზი ხანგრძლივი დაავადებაა. მისი საწინააღმდეგო აცრის რეაქციაზე წითელი, მარცვლის ოდენა ამობურცული ადგილი ჩნდება, რაც კვირეების ან თვეების შემდეგ ქრება. ზოგჯერ მერეც რჩება თეთრი ნაწიბური. ამას რაიმე განსაკუთრებული მოვლა არ სჭირდება.

გამონაკლის შემთხვევებში მოწითალო შემაღლებული ადგილი ცოტა უფრო დიდია და რამდენიმე კვირის შემდეგ იქედან ცოტა ჩირქოვანი სითხე გამოდის, რაც რამდენიმე კვირის შემდეგ ქრება. თუ ასეთი რამ მოხდება, ადგილი მარლითა და ლეიკოპლასტირით დაფარეთ და ბავშვი კონსულტაციაში წაიყვანეთ.

არ არის სწორი, როცა ბავშვის უგუნებობას აცრებს მიაწერენ. ეს მხოლოდ დროში დამთხვევა შეიძლება იყოს.

## კონსულტაციაში

**— ექიმო, ჩემს პატარას რაიმე აღმოუჩინეთ?**

— არა, ყველაფერი რიგზეა. ეტყობა უკვე ნორმალურად წოვს ძუძუს, კარგად მოუმატებია. აქტიური და სიცოცხლის უნარიანია. ნამზეურიც ეტყობა. ახლა შეგიძლიათ აღარ მისცეთ ვიტამინი „D“. სამი თვის პირობაზე, შესანიშნავია.

**— და მაინც, თითქოს რაღაც აწუხებს. ძნელად იძინებს, ხშირად იღვიძებს და ტირის.**

— შეიძლება მიჩვეული გყავთ რწევას. ეს ცუდი ჩვევაა. ძილი ძირითადი ბუნებრივი მოთხოვნაა, როგორც სუნთქვა, საკვების მიღება, ის თანდაყოლილი მექანიზმით რეგულირდება და თქვენი ჩარევა არა თუ საჭირო, მავნებელიც გახლავთ.

ძუძუთა ბავშვი ჭამის შემდეგ სწრაფად იძინებს და მაშინვე უნდა ჩააწვინოთ ლოგინში. ზოგი ერთხანს კიდევ ფხიზლობს. არაა საჭირო მოიგონოთ მისი დაძინების საშუალებები, თუ ყვირის, შეამოწმეთ, ხომ არ ცხელა, რაიმე ზედმეტად შემოჭერილი ხომ არ აქვს, ან ხომ არ ჩაასველა. გაუთავისუფლეთ ხელები, მაგრამ ნუ ჩაჩრით მაწოვარას, ნუ აიყვანთ და ნუ დაარწევთ, თუ არა, ყოველივე ეს ჩვეულებად ექცევა და ყვირილს მოუმატებს. ხოლო თუ საწოვარას იმიტომ აძლევთ, რომ წოვის რეფლექსი დაიკმაყოფილოს, დაძინებისთანავე გამოუღეთ პირიდან.

არც ის იქნება სწორი, დაძინებას სრულ სიჩუმეში მივაჩვიოთ. ცხადია, კარების ჯახუნს არ დაიწყებთ და ტელევიზორს არ ჩაურთავთ, მაგრამ ოჯახის ჩვეულებრივ რიტმსაც ნუ დაარღვევთ. ბავშვი ყოველ გაფაჩუნებაზე არ უნდა იღვიძებდეს. ძილიც სხვადასხვა ბავშვს სხვადასხვანაირი აქვს. ზოგს მეტი უნდა, ზოგს — ნაკლები. საშუალოდ ძილის მოთხოვნილება 16,5 საათია დღე-ღამეში, მაგრამ წარმოიდგინეთ, ზოგ ძუძუთა ბავშვს 23 საათი სძინავს, ზოგს კი 10,5 საათიც ყოფნის.

**— ბებიამისი ამტკიცებს, რომ ბავშვს გაზები უგროვდება და იმიტომ ტირისო.**

— გაზები ყველა ბავშვს უგროვდება. ეს ბუნებრივია, მაგრამ ზოგს მეტი აქვს და მათ გამოდევნას ცდილობს ჭინთვით, ყვირილით. ამ დროს კარგია მუცლის მსუბუქი მასაჟი ხელით, საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით. შეგიძლიათ მუცელზე დააწვინოთ, ან მუცელზე ცხელი კომპრესი დაადოთ. შეიძლება მისცეთ გვირილის ჩაი. შეიძლება აგრეთვე სწორ ნაწლავში 3-5 სმ სიღრმეზე შეუყვანოთ ვაზელინწასმული სპეციალური რეზინის წვრილი მილი, ხანდახან შეგიძლიათ ამ საქმისთვის თერმომეტრიც გამოიყენოთ, რადგან უცხო სხეული იწვევს ნაწლავის შეკუმშვას, რის შედეგადაც გაზები გამოდის.

**— თუ ბავშვი მაინც ტირის და არ იძინებს, არ შეიძლება, რომ საძილე საშუალება მივცეთ?**

— ეს შესაძლებელია, მაგრამ ძუძუთა ბავშვებთან დიდი სიფრთხილეა საჭირო. ექიმი ასეთ საშუალებას გამოსწერს მოკლე დროით. შემდეგ და შემდეგ დოზა უნდა შევამციროთ და ბოლოს სულ შევუწყვიტოთ. და მერე კიდევ მეზობლების თუ სხვათა რჩევით აღარ მისცეთ. უნდა ვთქვა, რომ დაძინების პრობლემა უფრო აღზრდის პრობლემაა, ვიდრე სამედიცინო. და ვიდრე წამალს მიმართავდეთ, ეცადეთ აღმზრდელობითი მეთოდები გამოიყენოთ. მყვირალა ბავშვის მშობლები უნდა შეეგუონ, რომ პირველ სამ ღამეს თვალს ვერ მოხუჭავენ, მაგრამ თუ რწევას არ დაიწყებენ, კვირის მეორე ნახევარში რამდენიმე საათი მოუწევთ ძილი, ხოლო ათიოდე დღის შემდეგ ყველაფერი მოწესრიგდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაქტიკუმი მშობლებისათვის

# სექსი მშობიარობის შემდეგ



ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მთელი ცხრა თვე გულმოდგინედ ემზადება ხოლმე იმ ცვლილებებისთვის, რაც ოჯახში ახალი წევრის შემომატებას მოსდევს, მაგრამ, როგორც წესი, ისიინი იმ პრობლემათა ნახევარსაც ვერ ითვალისწინებენ, რაც რეალურად ელით. სირთულეები ჩნდება წყვილის ინტიმურ ურთიერთობაშიც, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ცოლ-ქმარი ექიმთანაც კი ამაზე დუმილს ამჯობინებს.

სოციოლოგები სექსუალური პრობლემების გამომწვევ რამდენიმე მიზეზს ასახელებენ.

პირველი. ახალგაზრდა დედა მხოლოდ ახალშობილითაა დაკავებული და ყველა სხვა საზრუნავი, ქმრისა და მასთან ინტიმური კავშირის ჩათვლით, უკანა პლანზე ინაცვლებს. დედობის პირველ თვეებში ქალის ორგანიზმი რძის წარმომქმნელი ჰორმონების — პროლაქტინის დიდ რაოდენობას გამოჰყოფს, რომელიც ქალს სექსუალური ურთიერთობის სურვილს უქვეითებს.

თავის მხრივ, მამაკაცი გრძნობს, რომ მეუღლისა და ოჯახის სხვა წევრთა ყურადღება მთლიანად პატარისკენაა მიპყრობილი, თავს დაჩაგრულად თვლის და ქვეშეუცნობლად ეჭვიანობს კიდეც ოჯახის ახალ წევრზე.

„ბავშვი რომ ტირილს იწყებდა, ყველა საქმეს გვერდზე ვდებდი და კისრისტეხით გავრბოდი მისი ოთახისკენ“, — ამბობს 24 წლის ოლღა. — „ჩემი ქმარი ძალიან ეჭვიანობდა და მეუბნებოდა, რომ მე ბავშვის გარდა არავინ მიყვარდა“. „ბავშვის დაბადების შემდეგ ყველაფერი შეიცვალა“ — ჰყვება 28 წლის მანუელი, — „მე ახალგაზრდა ვარ და ცოლთან დაწოლა მინდა, ის კი ყურადღებასაც არ მაქცევს და მხოლოდ ბავშვითაა დაინტერესებული. ხანდახან ვბრაზდები კიდეც“.

მორალურ ფაქტორს რომ თავი დავანებოთ, ახალგაზრდა და გამოუცდელ დედას იმდენი საქმე აწვება კისერზე, რომ შეუძლებელია მისგან ქმრის მიმართ ნაზი გრძნობების მუდმივი გამოხატვა მოვითხოვოთ. წარმოიდგინეთ: დღეში რამდენჯერმე ბავშვის კვება, საფენების გამოცვლა, რეცხვა, უთოობა, პატარის დაბანა, დაძინება, ჩვეული საოჯახო საქმეები და ა. შ.

პირველი თვეების მანძილზე ახალბედა დედას დღე-ღამეში რამდენიმე საათი სძინავს და შვილის ყოველ გაფაჩუნებაზე თუ წამოტირებაზე კარგა ხნით უტყდება ძილი. ყოველივე ამის შედეგად ქალი წარმოუდგენლად იღლება, ითრგუნება და ბევრი რამის მიმართ ეკარგება ინტერესი, ხშირად საერთოდ უქრება სექსის მოთხოვნილება.

„ბავშვს დავაძინებდი თუ არა, ერთი სული მქონდა დავწოლილიყავი და 8 საათი გაბდაბმულად დამეძინა, მაგრამ ჩემს ქმარს სულ სხვა ინტერესი ჰქონდა“, — ჰყვება 26 წლის ჩარო.

„პირველი 15 დღე ხალათი არ გამიხდია და სახლიდან არ გამოვსულვარ, — იხსენებს ლაურა, — ჩემი მეუღლე კი დახმარების ნაცვლად ბრაზობდა, ნერვიული გახდიო“.

გამოკითხულ ქალთა უმეტესობამ აღიარა, რომ ბავშვის დაბადების შემდეგ პირველი ორი თვის მანძილზე ყველაზე ნაკლებად სექსის მოთხოვნილებას განიცდიდნენ. ქალებმა ასევე ერთსულოვნად განაცხადეს, რომ მეუღლეებს არ ესმოდათ მათი, სიყვარულის განელებას აბრალებდნენ და ჩიოდნენ, რომ ბავშვმა ცოლს მისი თავი გადაავიწყა.

„დაღლილობას და დეპრესიას რომ თავი დავანებოთ, შიშის გრძნობა არ მასვენებდა, — მოგვითხრობს როსა, — ძალზე მძიმე მშობიარობა მქონდა, მთელი სხეული მტკიოდა და თითის მიკარებაზეც კი მწვავედ ვრეაგირებდი“.

მსგავსი მოვლენა არც თუ იშვიათია ახალნამშობიარებ ქალებში. ზოგჯერ მათ გადატანილი ტკივილების გახსენება უკლავს სურვილს, ზოგჯერ დაფეხმძიმების შიში არ ასვენებთ, ზოგჯერ კი საკუთარი სხეულის გამომზეურება არ სურთ, მშობიარობის შემდეგ ხომ ბევრ მათგანს ზედმეტი წონა აწუხებს, მკერდი ტკივა და ა. შ.

მაგრამ ასეა თუ ისე, ყოველ ქალს სურს სითბო და სიყვარული. ექიმები ამტკიცებენ, რომ რაც უფრო ნაზად და თბილად ექცევა ქმარი ახალნამშობიარებ ქალს, მით ადრე შუშდება მშობიარობის ტრავმა და ქალს სექსუალური სიახლოვის სურვილი უჩნდება.

ახე რომ, ძვირფასო მამაკაცებო, უკუაგდეთ ეჭვები იმის შესახებ, რომ ბავშვმა თქვენი ადგილი დაიკავა მეუღლის გულში, მეტი ყურადღება, სიყვარული და სითბო გამოიჩინეთ ცოლის მიმართ, მონაწილეობა მიიღეთ პატარის მოვლაში და თავად დარწმუნდებით, რომ მშობიარობის შემდგომი კრიზისის დაძლევის ამაზე ეფექტური საშუალება არ არსებობს.

ესპანურიდან თარგმნა
**თეა ჭყახალიამ**

ჟურნალი „სერ პადრეს ოი“

პროზა

თამაზ ნატროშვილი

# ობოლი ქართველი გოგო

ისპაჰანში, 1617 წლის 12 მარტს, კვირადღეს, პიეტრო დელა ვალეს სახლში ესტუმრნენ ფრიად წარჩინებული ქალბატონები — ქრისტიანი ქართველები, რომელთაც უკვე რამდენჯერმე შეხვედროდა კარმელიტთა ეკლესიაში. ესენი იყვნენ ალავერდელი მიტროპოლიტის დები: ნესტან-დარეჯანი, თინათინი და მარიამი, შორეული ნათესავები თეიმურაზ პირველისა. საქართველოში ფლობდნენ მამულებსა და დიდძალ ქონებას. როდესაც 1614 წლის დამდეგს შაჰ-აბასი თავისი უზარმაზარი ლაშქრით შეესია კახეთს, მიტროპოლიტის დებმა ვერ მოასწრეს გაქცევა იმერეთისაკენ მეფესა და დიდებულებთან ერთად. იქნებ არც უფიქრიათ და არც უცდიათ, ვინაიდან თვით ალავერდელი მიტროპოლიტი, ისიც მდიდარი კაცი, ვილაც მოღალატის მეოხებით შაჰ-აბასმა დაატყვევა.

ახლა კი თავიანთი სამშობლოდან, განუწყვეტელი ომიანობის გამო, არავითარი სარჩო არ მოსდიოდათ. შემოეხარჯათ წამოღებული სახსრები, მთელი ქონება, ყმებიც კი გაყიდეს. ორიოდე მსახურის ამარა დარჩნენ და ისეთი გაჭირვების ბრჭყალებში მოექცნენ, რომ ყოველდღიურ ლუკმა-პურზე უნდა ეფიქრათ. ასეთ ხიფათაკეში ჩავარდნილ ქრისტიან ქალბატონებს კათოლიკე მისიონერებმა გაუწოდეს შემწეობის ხელი.

მიტროპოლიტის დებმა სთხოვეს პიეტროს, ჭეშმარიტ ქრისტიანსა და ყველა ქრისტიანის კეთილისმყოფელს, თავშესაფარი მიეცა პატარა ქართველი გოგოსათვის, რომელსაც მამა დაეღუპა ყიზილბაშებთან ომში შაჰ-აბასის შემოსევისას, ხოლო დედა — ირანში გადმოსახლების შემდეგ. პატარა თინათინი უდედმამოდ დარჩა უცხო მხარეში, პატრონი და მომვლელი აღარავინ ყავდა დაობლებულ გოგოს. ერთ მშვენიერ დღეს ყიზილბაშები თვალს დაადგამდნენ და ვეღარაფერი იხსნიდა. ვინ აღუდგებოდა ყიზილბაშთა ნებასურვილს! თინათინი ხომ მათი ნადავლი იყო.

ამიტომაც შეევედრნენ იტალიელ მოგზაურს: ამ უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილს თავშესაფარი მიეცი, მაჰმადიანთა ალვირახსნილი ავხორცობისაგან გადაარჩინე. ამ ერთ პაწია სიკეთეს ღმერთი ათასწილ დაგიფასებსო.

მიტროპოლიტის დებს მისამართი არ შეშლიათ, ვინაიდან პიეტრო დელა ვალე, რომის ეკლესიის არაოფიციალური ლეგატი, საპატიო სტუმარი იყო თვით შაჰ-აბასისა და მისი ქვეშევრდომის ულვლს როდი ატარებდა. ყიზილბაშთა კანონი თუ უკანონობა არ ვრცელდებოდა იტალიელ მოგზაურზე. ასე რომ, მის ოჯახში დაბინავებულ ქართველ გოგონას ხელის ხლებას ვეღარავინ გაუბედავდა რომელიმე წარჩინებული ყიზილბაშისა და თუნდაც სეფიანთა ხელმწიფის ჰარამხანაში წასაყვანად.

პიეტრო და მაანი სიამოვნებით დათანხმდნენ მიტროპოლიტის დების წინადადებას და დააიმედეს, როგორც ღვიძლ შვილს, ისე მოვუვლითო. წუთითაც არ შეყოყმანებულან, გადაწყვიტეს აღეზარდათ ქართველი თინათინი და მერე იტალიაშიც წაეყვანათ. ქალბატონმა მაანიმ მყისვე სახელი შეუცვალა შვილობილს. მარიამი დაარქვა, ალბათ, ღვთისმშობლის პატივსაცემად (სხვათა შორის, მაანის დედასაც მარიამი ერქვა). ერთი-ორი დღე გავიდა და მარიამს აღარავინ ეძახდა ცელქსა და მოუსვენარ გოგოს. „მარიამის" მოფერებითი ფორმა იტალიურად „მარიუჩა" გახლდათ და უფრო შეეფერებოდა გულის გასახარ, საალერსო არსებას, „მარიუჩა, პატარა ქართველი ფანჩულა", — პიეტრო დელა ვალე ასე მოიხსენიებს თინათინს იმდროინდელ თავის წერილებში („ფანჩულა" იტალიურ ენაზე ნიშნავს გოგონას შვიდიდან თორმეტი წლის ასაკამდე).

იზრდებოდა მარიუჩა პიეტროსა და მაანის ოჯახში, როგორც მათი შვილობილი, არ აკლდა მოვლა-პატრონობა და სიყვარული.

მარიუჩას გადიად ირანში გადმოსახლებული ქართველი ჰყავდა, სახელად მარინე. პიეტრო დელა ვალეს სიტყვით, იგი მშვენიერი ქალიშვილი ყოფილა. ნამდვილი ქართული ტანსაცმელი ეცვა, იცოდა წერა-კითხვა მშობლიურ ენაზე და აღზრდა-განათლება თავის სამშობლოში სამეფო კარზე ჰქონდა მიღებული.

ასევე ქართველი იყო პიეტროს ოჯახის დიასახლისი, სახელად მზისთანდარი — დაახლოებით ორმოცი წლის ქალი, მხნე, გამრჯე და სანდომიანი შესახედაობისა; მეტად ძვირფასი პიეტროსა და მაანისათვის თავისი ხასიათითა და ქცევით, უძვირფასესი მარიუჩასთვის, ვინაიდან ამ ქალს დედამისის სახელი ერქვა, და, ალბათ, უწევდა კიდეც დედობას დაობლებულ ქართველ გოგონას (თვით მაანი მხოლოდ თორმეტი წლით იყო უფროსი მარიუჩაზე და დობილად უფრო გამოადგებოდა, ვიდრე დედობილად).

მარინეს და მზისთანდარის წყალობით, პატარა მარიუჩას დედა-ენა არ ავიწყდებოდა.

პიეტრო იტალიურში ამეცადინებდა ხოლმე, მაანი — არაბულში. მაგრამ ქართველ მარიუჩა-მარიკას გული ყველაზე მეტად ქართულისაკენ მიუწევდა, დედაენაზე ტიკტიკი ძალზე შორეულ, თითქმის დავიწყებულ წარსულს აგონებდა. თავისი ბავშობის დროინდელი ბედნიერი და ულრუბლო წუთები, ანდა მძაფრი შთაბეჭდილებანი უცოცხლდებოდა თვალწინ.

მარინე ლექსებსაც უკითხავდა, ერთი-ორჯერ „ვეფხისტყაოსნის" ნაწყვეტებიც გაიხსენა. მარიუჩას ძალზე მოეწონა, საქართველოში სახარებასავით რომ იყო გარემოცული საყოველთაო სიყვარულით. მოეწონა და მერე განუწყვეტლივ იმეორებდა წკრიალა ხმით: „მისი სახელი თინათინ... მზე მისგან საწუნარია".

მზისთანდართან ყოფნა უფრო ჰგვრიდა სიამოვნებას, მაგრამ მათი სახლეულობის დაუღალავ დიასახლისს რომ არ ეცალა! და როგორც კი აურაცხელ საქმეს მოითავებდა, მაშინვე მარიუჩას იხმობდა და ძილის წინ ზღაპრებს უამბობდა. საუბედუროდ, ზღაპრების მარაგი მალე შემოელია, გაგულისებულმა მარიუჩამ მერე თვითონვე შეთხზა პაწია ზღაპარი და უამბობდა მზისთანდარს: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქართველი გოგო, სახელად თინათინი ერქვა. დედა ადრე მოუკვდა და უცხო ქვეყანაში იზრდებოდა უდედოდ. კეთილი ძია და უსაყვარლესი ძალუა ზრდიდნენ, თავს ევლებოდნენ, მაგრამ სამშობლო მაინც ენატრებოდა. თინათინის მამა ომში იყო, ცხრათავიან დევებს და გველეშაპებს ეომებოდა. შვილის სანახავად ვეღარ მოიცალა, ოღონდ წერილებს ხშირად უგზავნიდა, მოიკითხავდა, როგორა ხარ, ჩემო თინათინ, უჩემოდ ხომ არ მოგწყინდა, ჩემო თვალის სინათლევ, ცოტაც მოითმინე, ომს მალე მოვრჩებით, დევებსა და გველეშაპებს ერთიანად გავჟუჟავთ, ჩამოვალ და საქართველოში წაგიყვანო".

მზისთანდარი ამოიოხრებდა, ალერსით გადაუსვამდა თავზე ხელს, მოუწონებდა ზღაპარს, ასეთი ლამაზი ზღაპრები გცოდნია და მე რაღას მაწვალებდიო. მერე კი თავისი დაკარგული შვილების ამბავს სათითაოდ ჩამოუკაკლავდა.

მაანიმ, თავისი ჩვეულებისამებრ, მზისთანდარსაც შეუცვალა სახელი და... მარიამი დაარქვა. ეტყობა, სხვა სახელებს ვერ ეგუებოდა და ნება რომ დაერთოთ, მთელ საქალეთს მარიამებად მონათლავდა.

1619 წლიდან პიეტრო დელა ვალეს ოჯახი კიდევ უფრო გამოცოცხლდა. მშობლიური ბაღდადიდან მაანის ესტუმრნენ მამა, სახელად ჰაბიბი და და-ძმები. მარიუჩა ძლიერ დაუმეგობრდა მაანის უმცროს ძმას, თორმეტი წლის ათაის და უმცროსსავე დას, თავის თანატოლ ლულაგას. იგი ძალზე მშვენიერი იყო, საზრიანი და თავისი ასაკის კვალობაზე უჩვეულოდ გონიერი, მაგრამ არც ონავრობის ნიჭი აკლდა და დილიდან დაღამებამდე აკლებული ჰქონდათ სახლი.

პიეტროს სიმამრი ბავშვების უპირველესი



გაგრძელება, დასაწყისი იხ. „საქართველოს ქალი" № 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქომაგი იყო. რამეს რომ დააშავებდნენ და ხანჯლით ემუქრებოდათ, მასთან გარბოდნენ თავის გადასარჩენად. დარბაისელი და თეთრწვეროსანი პაპიჩ თავისი განიერი მოსასხამის ქვეშ შეიფარებდა ხოლმე პატარებს, როგორც წიწილებს და ველარავინ მიეკარებოდათ დასასჯელად.

... თითქმის ორი წელიწადი გრძელდებოდა სალხინო სტუმრობა პიეტროს ოჯახში, მაგრამ ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. ამასობაში მზისთანადარმა თავისი დაკარგული შვილების ადგილსამყოფელი შეიტყო და დაეთხოვა პიეტროს. უამრავი მადლობა და საჩუქრები უძღვნეს იმ დიდი სამსახურისათვის, იტალიელი მოგზაურის ოჯახს რომ გაუწია. ცოტა ხნის შემდეგ მარინემაც მიატოვა შეჩვეული გარემოცვა და აღსაზრდელი მოწაფეც. ახალგაზრდა ქალს საკუთარი ოჯახის შექმნა სწყუროდა და ირანში გადასახლებულ ქართველს, რომელიც ყულის ჯარში (ანუ გვარდიაში) მსახურობდა, გაჰყვა ცოლად...

მაგრამ ყველაზე დიდი სადარდელი მაშინ გაუჩნდათ, როდესაც მაანი შორდებოდა თავისიანებს. ბაღდადიდან წერილს წერილზე იწერებოდა. დედა მაანისა და ქმრისაგან დაჟინებით მოითხოვდა, შეეწყვიტათ გაჭიანურებული სტუმრობა ისპაანში, დაკარგულ შვილად მაანიც მეყოფაო. რა არ ილონეს პიეტრომ და მაანიმ, რომ ჰაბიბს ყური წაეყრუებინა ცოლის ჩივილზე და გაეხანგრძლივებინა სტუმრობა, მაგრამ ვერაფერი გააწყეს.

1621 წლის ზაფხულში პიეტროს ხიმამრი, მთელი თავისი მრავალრიცხოვანი ჯალაბით, ბაღდადს გაბრუნდა. ისპაანში დარჩა მხოლოდ აბდულა, უფროსი ძმა მაანისა.

დამშვიდობებისას მარიუჩა და ღულაგა გულამოსკვნილნი ქვითინებდნენ და ამ სურათის ყურება ყველას ჰგვრიდა სიბრალულს.

ნაღველმა დაიბუდა მაანის გულშიც. უკვე იტალიისაკენ აპირებდნენ გამგზავრებას და აშკარა იყო, რომ სამუდამოდ შორდებოდა თავის უძვირფასეს ნათესავებს. პიეტრო ამშვიდებდა, ნუ დარდობ, ბაღდადში ჩასვლას კიდევ მოვესწრებითო. მაგრამ მაანი მწუხარე სახით ემშვიდობებოდა უახლოეს ადამიანებს და თითქოს წინათგრძნობა კარნახობდა — შენიანებს უკანასკნელად ხედავო.

პიეტროს სახლი დაცარიელდა.

მაანიმ გაისტუმრა თავისიანები ბაღდადში და ცოტა ხნის შემდეგ თვითონაც გაუდგნენ გზას ისპაანიდან შირაზისაკენ, რათა სპარსეთის ყურემდე ჩაეღწიათ და ზღვით წასულიყვნენ ევროპაში.

ახლა ოთხნიდა იყვნენ: პიეტრო, მაანი, აბდულა და მარიუჩა.

იტალიელმა მოგზაურმა თვით მარიუჩას მიანდო არჩევანი: თუ ისურვებდა დარჩენას ისპაანში თავის შორეულ ნათესავებთან, რომლებმაც ოთხი წლის წინათ მიაბარეს პიეტროს, საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა. ან იქნებ დულაგას გაჰყოლოდა ბაღდადში? პიეტრომ ორივე წინადადებაზე უარი მიიღო და მაშინ მთელი სულითა და გულით შესთავაზა: ჩვენთან ერთად წამოდი იტალიაში, მაგრამ იცოდე, გზაში ძალზე ბევრი ხიფათი და გასაჭირი გველოდება, ვაი თუ ვერ გაუძლო, ვაი თუ სანანებელი გაგიხდესო.

მაგრამ მარიუჩას არაფრით არ სურდა ცხოვრება მაჰმადიანთა ქვეყნებში და მზად იყო გადაეტანა ათასი ხიფათი და გასაჭირი, ოღონდ აქაურობა აღარ ენახა თვალით და სამუდამოდ ამოეგდო მეხსიერებიდან ის წარსული, ვაებითა და ტანჯვით რომ გამოიარა, სანამ პიეტროს ოჯახში მოხვდებოდა.

ნაწილობრივ, ჩვენდამი სიყვარულის გამო არჩია ჩვენთან წამოსვლაო, ამტკიცებს პიეტრო დელა ვალე. უკვე ოთხი წელიწადი იყო, რაც მათს ოჯახში იზრდებოდა და შეეჩვია, რა სათქმელია, მართლაც შეუყვარდა ისინი.

პიეტრომ და მაანიმ კი სალისით წაიყვანეს მარიუჩა ისპაანიდან, შვილი არ ჰყავდათ და შვილივით ზრდიდნენ. უხაროდათ, რომ გვერდით ეგულებოდათ მათი ნუგეშისა და სიხარულის დაუშრეტელი წყარო.

და გაუდგნენ გზას შირაზისაკენ.., ვაი რომ არ უწყოდნენ — რაოდენ საშინელი უბედურება ელოდათ წინ...

## წერილები, რომლებიც თქვენს გამოხმაურებას ელიან



# მივხედოთ ქმრებს!

არ მსურს ამ პატარა წერილით ვინმე შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ არც ის შემიძლია, გულისტკივილი არ გამოვთქვა. ქალებს უნდა ვუსაყვედურო, ზარმაც და უქნარა ცოლებს. თუმცა, ღმერთმა დაიფაროს, ყველა მეუღლე გაკიცხვას იმსახურებდეს.

ჩემო კარგო ქალებო, ვიცი ძალიან გადატვირთულები ხართ — ოჯახი, სამსახური, ბაზარი. მაგრამ განა ეს გვაძლევს უფლებას ქმარს არ მოვუაროთ, მოუწესრიგებელი გავუშვათ სახლიდან?

წარმოიდგინეთ ხელმძღვანელი მუშაკი მამაკაცი, გაუუთოებელი პერანგით ან პიჯაკზე აგლეჯილი საკიდით. აშკარად ემჩნევა ცოლის დაუდევრობა. ასეთი უფროსი ხელქვეითების თვალში, რა თქმა უნდა, ავტორიტეტს დაკარგავს. თუ ის სახლში თავს ვერ მოავლევინებს მეუღლეს, მაშინ სამსახურში როგორღა ააშუშავებს კოლექტივს?

განსაკუთრებით მძღოლების მეუღლეებს მივმართავ. ადრე, როცა ტაქსში ვჯდებოდი ხოლმე, ხშირად მიგრძვნია სალონში სიბინძურის სუნი, მაშინვე მძღოლის მეუღლეზე გავჯავრებულვარ. ახლა გაჰყევით ტროლეიბუსში ადით და ნახეთ, რა სუნი დგას. შეიძლება გულიც წაგივიდეთ.

ზოგი მამაკაცი თვითონაა სუფთა, თავს უვლის, არ სჭირდება ზედმეტი ჩიჩინი და ყურადღება. ეს მისაბაძია და ბარაქალა იმ დედას, ვინც ასე აღზარდა ვაჟი. მაგრამ კაცს, რომელიც სამსახურში დილის 6 საათზე გადის სახლიდან და ღამის 12 საათზე ბრუნდება.. სწორედ სჭირდება ცოლის მონდომება. ნახევარი საათიც არაა საჭირო, რომ თქვენი ოჯახის მარჩენალს, თქვენი შვილების მამას ტანსაცმელ-ფეხსაცმელი მოუწესრიგოთ.

ხალხის თვალს არაფერი გამოეპარება. მეზობლებმა კარგად იციან, ვის როგორი ცოლი ჰყავს და ვინ როგორი მოვლილი გამოდის სახლიდან. ამიტომ თავმოყვარე ქალი თავის თავზე და ოჯახზე არავის აალაპარაკებს.

სუფთად და კოხტად გამოწყობილი მამაკაცი თავდაჯერებულად გრძნობს თავს.

ალბათ, ბევრი ქალი იფიქრებს ამ საკითხზე და გამოგვეხმაურება.

თქვენი ჟურნალის მუდმივი მკითხველი

ციცინო ბ.

თბილისი



# გაგიჟება სიყვარულის ნიადაგზე,

## ანუ ადელის — ვიქტორ ჰიუგოს ქალიშვილის სინდრომი



ამ დაავადებას მისი პირველი მსხვერპლის, ცნობილი ფრანგი მწერლის ვიქტორ ჰიუგოს ქალიშვილის ადელ ჰიუგოს სახელი დაერქვა. ადელი იფერფლებოდა ცინიკოსი ინგლისელი ოფიცრის ალბერტ პინსონისადმი გადარეული სიყვარულის გამო. საცოდავი ქალი მთელი სიცოცხლე არ ასვენებდა მას. ადელი სატრფოს უწყობდა სცენებს საზოგადოებრივ ადგილებში. „ყიდულობდა“ მასთან შეხვედრას, იხდიდა ბანქოში წაგებულ ვალებს. თვითონვე ქირაობდა მისთვის მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს, თანაც მათზე არ ეჭვიანობდა. ადელი 85 წლისა გარდაიცვალა საგიჟეში. მისი ბოლო სიტყვა „ალბერტო“ იყო. მას დარჩა რამდენიმე ათასი წერილი და დღიური, რომელთა საშუალებით წვრილად ვეცნობით ამ ავადმყოფობის სიმპტომებს. უბედური ადელის ისტორია ცნობილი გახდა ფრანსუა ტრიუფოს ფილმით.

ამ ცოტა ხნის წინ, ამერიკაში სცადეს თერაპია ჩაეტარებინათ იმ ქალებისათვის, რომელთაც „ზომაზე მეტად უყვართ“. ხანდახან ეს ავადმყოფობა კაცებსაც აწუხებთ, მაგრამ უფრო იოლ ფორმებში. ჯერ ერთი, ისინი იშვიათად ჩერდებიან ერთ რომელიმე ქალთან, მეორეც, საზოგადოება მშვიდად იღებს კაცის სიყვარულის გამოხატვის ყოველნაირ ფორმებს, თუნდაც ის ცალმხრივი იყოს.

სად გადის საზღვარი დიდ სიყვარულსა და სიგიჟეს შორის? ერთ-ერთ პოპულარულ ამერიკულ ჟურნალში მოთხრობილია სიყვარულის ნიადაგზე გაგიჟების შემდეგი ნიშნები:

1. მშფოთვარე ძილი. შეყვარებული კვირაში ორჯერ ესიზმრებათ.

2. ადელის სინდრომის მსხვერპლი არ პასუხობს ტელეფონის ზარებსა და წერილებზე. აგვიანებს ანგარიშის გასწორებას, ძლივს-ძლიობით მუშაობს.

3. ყველა აზრი და საუბარი საყვარელ მამაკაცს ეხება.

4. დეპრესია („მე მას არ ვუყვარვარ“) ეცვლება ეიფორიით („განა შეიძლება არ უპასუხო ასეთ სიყვარულს?“).

5. გულდასმით აგროვებენ ყველა, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო ნივთებს, რომლებიც შეყვარებულთანაა დაკავშირებული. იქნება ეს ღია ბარათები, შობის მისალოცები, ბილეთები, შემორჩენილი შემთხვევით ერთად მგზავრობისგან, ფოტოსურათები, რომლებზეც ოდნავ თუ მოჩანს საყვარელი ადამიანის კეფა.

6. გულის რჩეულს არ ეძლევა საშუალება გამოიჩინოს ინიციატივა — დარეკოს და დაიწყოს საუბარი. აქტიური მხარე ყოველთვის „ადელია“.

7. იგი არ აქცევს ყურადღებას საკუთარ გარეგნობას, რადგან დარწმუნებულია: დიდ სიყვარულს არ სჭირდება ყურადღების მიქცევის ბანალური საშუალებანი.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ადელის სინდრომით მხოლოდ შეუხედავი ქალები ავადდებიან. მერილინ მონრო, სილამაზისა და სექსუალობის სიმბოლო, ყურებამდე იყო შეყვარებული რობერტ კენედიზე. მის შესანარჩუნებლად მონრო აყალ-მაყალსაც არ ერიდებოდა. იმუქრებოდა: თუ რობერტი არ შემხვდება, პრესკონფერენციაზე საქვეყნოდ გამოვაცხადებ ჩვენს ურთიერთობაზეო.

აი რჩევები, რომელთაც იძლევა ამერიკული ქალთა ჟურნალები მათთვის, ვისაც აღმოაჩნდა ადელის სინდრომის პირველი ნიშნები.

1. დღის რეჟიმი ისე შეადგინე, წუთიც არ დაგრჩეს საყვარელზე ფიქრისათვის. იყიდეველოსიპედი ან ჩაუღრმავდი იოგას. შეიძლება მოეწყო ჩინური ენის კურსებზეც.

2. თუ მასზე ფიქრები მაშინ შეგაწუხებს, როცა წამოწოლილი ჭერს მიჩერებიხარ, ეცადე, მთელი დღის განმავლობაში არ მიიღო ჰორიზონტალური მდგომარეობა. თუ მასზე ფიქრს იწყებ ფანჯარასთან დგომისას, როდესაც შორეულ სივრცეებს გასცქერი, ეცადე საერთოდ არ მიუახლოვდე ფანჯარას.

3. გვერდი აუარე იმ ადგილებსა და ხალხს, რომლებიც მას გაგონებენ. ნუ იბოდიალებ თქვენთვის საყვარელ კაფეებში. არავითარი მისი საყვარელი მუსიკა! ნუ წახვალ იმ ფილმებზე, რომლებზეც ერთად დადიოდით!

4. ეცადე მასზე მხოლოდ ცუდი რამ გაიხსენო, მაშინ მიხვდები, რომ ამდენ წამებად არ ღირს.

5. შეიძინე ბლოკნოტი. ერთ მხარეს დაწერე, რა მოიგე მასთან რომანით, მეორეზე — რას დაკარგავ განშორების შემთხვევაში. ხშირ-ხშირად გაიმეორე ეს ბუღალტერია, სანამ არ დარწმუნდები, რომ სხვაობა მოგება-წაგებას შორის, არც ისე ხელშესახებია, როგორც ადრე გეგონა.

6. იდაყვთან მოიბი რეზინის ბაფთა და ყოველთვის, როცა მასზე ფიქრი მოგეძალება, ბაფთა ტკივილამდე მოჭიმე. ეს იოლი ხერხი უფრო კარგად დაგეხმარება, ვიდრე გგონია.

7. თუ ყველა ხერხი სცადე და მაინც არაფერი გამოგდის, მოიგონე ახალი გასართობი. ოღონდ არავითარ შემთხვევაში არ შეიყვარო ვინმე! ჩაეწერე გარემოს დაცვის საზოგადოებაში ან მიიღე აქტიური მონაწილეობა არჩევნებში.

სიგიჟემდე სიყვარულს, თვლის ამერიკელი ფსიქიატრი სტენტონ პილი, იგივე სიმპტომები აქვს, რაც ნარკომანიას. ამ მტანჯველი გრძნობის უკან, როგორც წესი, იმალება თავის თავში დაუჯერებლობა, საკუთარი თავის დაუფასებლობა, მიდრეკილება თვითდესტრუქციისა და წამებისაკენ.

ამ პრობლემას ყურადღება მიაქციეს ფემინისტების მოძრაობის შედეგად. სწორედ მათ ასწავლეს ქალებს, როგორ შეიძლება იყო ბედნიერი უპარტნიოროდ.

ქალისა და კაცის ურთიერთობებზე ამ ახალმა შეხედულებამ შექმნა იმ კლასიკური სასიყვარულო ლიტერატურის გადახედვის საჭიროებაც, რომელზეც ქალთა თაობები აღიზარდნენ. ანა კარენინა... აბა რა სისულელეა ჩაუვარდე მატარებელს ვიღაც მეტიჩარა ვრონსკის გულისთვის? ემა ბოვარი... შეიძლება მთელი ცხოვრება სდიო დიდ სიყვარულზე შექმნილ ზღაპარს? ჯულიეტა... მოკვდე სიყვარულისაგან ასეთი ნორჩი?

პრაგმატიზმის ფარგლებში ეს ყველაფერი შესაძლოა გამართლებულიც იყოს, მაგრამ ხომ არ იკარგება რაღაც სულ სხვა ფემინისტებისა და ფსიქოთერაპევტების ასეთი შეხედულების ცხოვრებაში გატარებით.

ელენე ჩუდეჩბანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სიცოცხლე სიყვარულით იწყება

# „მე კი გეუბნებით..."

**ქრისტიანობას** ახალი არაფერი უთქვამს ქალ-ვაჟის სიყვარულის შესახებ. პირიქით, მან დაჰგმო „ავხორცობა" და მრუშობად გამოაცხადა სიყვარული თუ ის სიცოცხლის ჩასახვასა და გვარის გაგრძელებას არ ისახავს მიზნად.

სამაგიეროდ, ქრისტიანობამ გზა გაუხსნა ადამიანთა ურთიერთმიტევების, ურთიერთდახმარებისა და ძმური ურთიერთსიყვარულის ჰუმანურ იდეებს.

ჯერ კიდევ ძველი აღთქმიდან მომდინარეობს უპოვართა, უცხოთა, ქვრივთა და ობოლთა სიყვარული. „თქვენ იცნობთ უცხოთა სულს, რადგან თვითონ იყავით უცხონი ეგვიპტელთა მიწაზე... შეიყვარეთ უცხონი". თუ ადამიანი ამას მოახერხებს, იგი მოძმის სიყვარულსაც ისწავლის, რადგანაც ნამდვილი სიყვარული უანგაროა. იმიტომ კი არ გვიყვარს, რომ რაიმეს ჩვენს სასარგებლოდ გამოველით, პირიქით, ჩვენსას ვაძლევთ, იმიტომ რომ გვიყვარს.

ამგვარი სიყვარულის ქადაგებით არის გამსჭვალული მთელი ახალი აღთქმა, უფრო მეტიც, აბა მოუსმინეთ იესო ქრისტეს: „თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: შეიყვარე მოყვასი შენი და შეიძულე მტერი შენი, მე კი გეუბნებით: გიყვარდეთ თქვენი მტრები (დალოცეთ თქვენი მაწყევარები, ქველმოქმედება გაუწიეთ თქვენს მოძულეებს), ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავიწროვებთ და გდევნით, რათა იყოთ თქვენი ზეციური მამის ძენი. თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ. მე კი გეუბნებით თქვენ: წინააღმდეგობას ნუ გაუწევთ ავს; არამედ თუ ვინმემ მარჯვენა ლოყაში გაგარტყას, მეორე ლოყაც მიუშვირე და რომელიც მოისურვებს შენთან გასამართლების და შენი მოსასხამის წაღებას, სამოსელიც მიეცი მას. არ დაგძლიოს ბოროტმა, არამედ შენ სძლიე ბოროტს კეთილით".

ქრისტეს მოძღვრება ძირფესვიანად ცვლის ძველი აღთქმის მორალურ პრინციპებს, მაგრამ ქრისტეს ენით ხომ მამა ღმერთი გვმოძღვრავს? ღმერთი, რომელმაც უხსოვარ დროს ადამი გამოაძევა სამოთხიდან, შემდეგ კი კაცობრიობას მსოფლიო წარღვნა მოუვლინა.

ღმერთმა, რომელიც შიშით ქმნიდა სიყვარულს, პირველად მოსეს გაანდო ადამიანური ცხოვრების ათი მცნება, რადგან ებრაელები ჩათვალა ჭეშმარიტების ღირსად. მაგრამ, მანვე დააქცია სოდომ — გომორი, დაანგრია ბაბილონის კოშკი და გაჰფანტა ებრაელობა მთელს დედამიწაზე. მიუხედავად ამისა, მან მაინც ებრაელთა წიაღში აღმოაცენა ახალი აღთქმა, რომელიც ყოვლისმომცველი სიყვარულის საფუძველზე დაამკვიდრა.

ამ სიყვარულის ქვაკუთხედია მოწოდება: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა"". ეს არის დიდი და პირველი მცნება. და მეორე ამის მსგავსია: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი". მოყვასი გაგებულია, როგორც მსოფლიო მოქალაქე და არა მხოლოდ ებრაელი. ასე გადაიქცა ქრისტიანობა საკაცობრიო რელიგიად.

ადამიანთა მიმართ ღმერთის განუზომელი სიყვარულის გამოხატულებაა ღვთის შვილის, განკაცებული ქრისტეს მიერ, მამის შთაგონებით, ადამიანურ ენაზე ახალი აღთქმის, მშვიდობის, კაცთა შორის სათნოებისა და საყოველთაო სიყვარულის ქადაგება. მისი შეპყრობა, გასამართლება, წამება და ჯვარცმა. კაცობრიობის ცოდვათა გამოსასყიდად დაღვრილი მისი წმინდა სისხლი. დაბოლოს, მისი მკვდრეთით აღდგომა, როგორც უკვდავების საუკუნო სასუფევლის დამკვიდრების იმედი ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის. „რამეთუ ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყნიერება, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე. რამეთუ არ წარმოგზავნა ღმერთმა თავისი ძე ქვეყნიერებაზე, რომ გაასამართლოს ქვეყნიერება, არამედ, რომ ქვეყნიერება გადარჩეს მის მიერ". რაც შეეხება გასამართლებას, კაცობრიობას კიდევ ერთხელ ელის ღმერთის სამართალი, მეორედ მოსვლა, განკითხვის დღე. აკი ვდგავართ კიდეც აპოკალიფსის წინაშე!

და ბოლოს, არ შემიძლია არ მოვიყვანო პავლე მოციქულის მიერ გაგებული სიყვარულის ძალა, მისი დახასიათება:

„თუ მე ადამიანებისა და ანგელოზების ენებით რომ ვლაპარაკობ, ხოლო სიყვარული არ გამაჩნია, მაშინ ჟღარუნა რვალი ვარ ან მჟღერი წინწილა. წინასწარმეტყველება რომ მქონდეს, ყველა საიდუმლო და ყოველგვარი ცოდნა რომ ვუწყოდე, სრული რწმენა რომ მქონდეს, ისეთი, რომ მთების გადაადგილება შემეძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნებოდი. მთელი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასაწვავად გავწირო, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არაფერი სარგებელი არა მაქვს".

„სიყვარული სულგრძელია, ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს. არ ჩადის უწესობას, არ ეძიებს თავისას, არ რისხდება, და არ განიზრახავს ბოროტს. არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს. ყოველივეს იტანს, ყველას უჯერებს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს. სიყვარული არასოდეს არ მთავრდება. თუმცა წინასწარმეტყველებანი გაუქმდებიან ან ენები შეწყდება, ან ცოდნა გაუქმდება. ახლა კი რჩება რწმენა, იმედი, — სიყვარული — ეს სამი. ხოლო მათგან სიყვარულია დიდი".

ასეთი ყოფილა ქრისტიანული სიყვარული! შეიძლება არ ირწმუნო?!

არსებობს სიყვარულის გენია?!

ჭეშმარიტად!

**თენგიზ აბრამიშვილი,**
ექიმი-ფსიქიატრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რეკომენდაციები

Ერთმა ქალბატონმა გულწრფელად გამანდო: იმის წარმოდგენაზეც კი, რომ მისმა ვაჟმა ცოლი უნდა შეირთოს და სადაცაა ჰორიზონტზე გამოჩნდება „ის“ — მისი ბედნიერებისა და კეთილდღეობის „გამყოფ-მიმტაცებელი“, სუნთქვა ეკვრის და სასოწარკვეთილებაში ვარდება,

ამბობენ, ყველაზე დიდი მწუხარება გონებით წარმოსახული მწუხარებააო. სიტუაციის ტრაგიზმი კი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი ადამიანი ვერ აცნობიერებს ამას და პანიკა იპყრობს — აი, სადაცაა ოჯახის დამკვიდრებულ ყოფაში უნდა შემოიჭრას უცხო არსება და ამ ახალგაზრდა, ძალ-ღონით სავსე მეტოქემ უნდა დაუნგრიოს ოჯახი, დაატოვებინოს „საკუთარი სივრცე“, რომელიც სტაბილურობის ციტადელად მიაჩნდა, ან „წაართვას სიმწრით გაზრდილი შვილი“. ამგვარი ადამიანებისათვის მუდმივი შიში და ბრძოლვა თითქმის „ნორმალურ პათოლოგიად“ ქცეულა. მათ მენდელსონის საქორწინო მარშის ხმაც კი ალიზიანებთ. უფრო მეტიც, ისეთი დედები, რომელთაც ძალუძთ ოთარაანთ ქვრივის მსგავსად იფიქრონ, — შენ გაიხარე, შვილო, შენ, მე კი ჩემისად მაყურებელ თვალს დავიბრმავებ და შენისად მაყურებელით ვივლიო, არც ისე ბევრნი ყოფილან, რადგან, ერთი ფილოსოფოსის გამონათქვამისა არ იყოს, „ქვეყნად გაცილებით ნაკლებია ქალი და მეტია მდედრი“. რას ვიზამთ. რამდენი მიკროსამყაროცაა, იმდენი ხასიათის თავისებურებაა. აბა, როგორ ავხსნათ, რომ დედას ცხოვრება შესაბამის ეპითეტებს მიაკუთვნებს ხოლმე: „დედა-დესპოტი“; „დედა — მონა“, „დედა — მევახშე“ ან „დედა — სიყვარულით აღვსილი ეგოისტი“) და ა. შ. ასე რომ, მშობლიური სიყვარული ყოველთვის როდია დაფუძნებული ალტრუიზმზე. უფრო ხშირად მას ეგოალტრუიზმი წარმართავს და თუკი „ეგო“ სჭარბობს, დედობრივ საწყისს თრგუნავს მესაკუთრული საწყისი და პირადი ამბიცია. და თუ იმ ბედნიერ ქალსაც კი, რომელიც სიყვარულს უდიდეს ბედნიერებად მიიჩნევს, თავზარს სცემს შვილის მოულოდნელი აღსარება: „დედა, მე შეყვარებული ვარ“ და პასუხად ჯერ ნიშნების გამოსწორებას სთხოვს, მაშინ რა გაემტყუნება წარსულში ქალობაგახუნებულ მარტოხელა დედას, რომელსაც არ ძალუძს თავიდან აიცილოს სულის მღრღნელი ეჭვები და „სხვას“ დაუთმოს ერთადერთი იმედი. უფრო მეტიც, უფროსები თითქოს მომდევნო თაობის სიყვარულის მარადიულ მტრებად ქცეულან. იმისდა მიხედვით, თუ როგორი ზნეობრივი განწყობის მატარებლები არიან, საბედნიეროდ, ზოგნი სძლევენ ამბიციებს და აცნობიერებენ, რომ ეს სიყვარული არა მარტო მათი შვილების ბედნიერების, არამედ მათი უკვდავების (შვილიშვილებში განხორციელებული) და მშვიდი მოხუცებულობის საწინდარიცაა.

ცნობილია, რომ ადამიანის გული ძალიან ადრე იწყებს თავის იდუმალ, მღელვარე მუშაობას და როგორც წესი, ჩვენი პირველი სიყვარულისა და აღტაცების საგანი დედა და მამაა (ამიტომაც არის მომდევნო გატაცებები ხშირად მათთან შეფარდებული); ამდენად მშობლებს (მით უფრო დედებს), ხელეწიფებათ ააცდინონ შვილები მოსალოდნელ ქორწინებას და დაიცვან „დიდი ბავშვი“ ცხოვრებისეული პერიპეტიებისაგან. ჰოდა, რათა გავუადვილოთ ამგვარი „ბრძნული“ გადაწყვეტილებების მქონე სადედამთილოებს ბერბიჭათა აღზრდა და დედიკოს კალთაზე მიბმა, ვთავაზობთ შესაბამის რეკომენდაციებს. იმედი გვაქვს, არ გიღალატებთ იუმორის გრძნობა და ამავე დროს ხუმრობიდან სასარგებლო დასკვნებს მაინც გამოიტანთ.

**პირველი და უმთავრესი:** განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ თქვენი ვაჟიშვილის გოგონებთან ურთიერთობისას. ნუ დაელოდებით მთავარი მეტოქის გამოკვეთას და შვილს ხშირად მიმართეთ მსგავსი „უცოდველი“ ტექსტებით:

— ეტყობა ლალი იშვიათად ბანაობს, არასასიამოვნო სუნი უდის.



## იუმორი

# თემოისეული

ბ-ნ თემო ჭყონიას ხიდედრი გარდაიცვალა. სამძიმარზე უამრავი ხალხი მივიდა. მათ შორის ვერიკო ანჯაფარიძის რძალი, ქ-ნი ვერიკო ავადმყოფობის გამო ვერ მივიდა და დეპეშა გაუგზავნა ჭირისუფალს. — ვერიკოს დეპეშა მიიღეთ? — ჰკითხა რძალმა თემოს. — როგორ არა, მივიღეთ, — უპასუხა მან. — ხომ კი იყო? — იყო. — დეპეშა როდის მიიღეთ? — არ უშვებოდა ქალი. ამასობაში ხალხი შეგროვდა, თემომ ვეღარ მოიცილა ცნობისმოყვარე მოსამძიმრე. ბოლოს უთხრა: ჯერ კიდევ ცოცხალი იყო საცოდავი, სამძიმრის დეპეშა რომ მოიტანეს, წავუკითხეთ და ძალიან ესიამოვნა. ქალმა ხელი ჩაიქნია: შენთან ლაპარაკი ხომ არ შეიძლება და იქიდან გაეცალა.

• • •

თემო მეუღლესთან ერთად თეატრში იყო. სპექტაკლი რომ დამთავრდა, პალტოების ასაღებად წავიდნენ, თემომ უზარმაზარი რიგი რომ დაინახა, მეუღლეს უთხრა: — წამო [illegible], ამოდენა რიგში თუ დავდგებით, ახალ პალტოებს მაინც ავიღებთო.

• • •

ერთხელ მეგობარმა თემოს უთხრა: პროსტატის ოპერაცია გავიკეთეო.

— როგორ მიხვდი, რომ პროსტატა გქონდა? — ჰკითხა თემომ. — შარდის ნაკადი დამიმოკლდა. — ვაჰ, არ გამიკვირდა, უნიტაზი ვინ გამიწია ასე შორს-მეთქი? — გაიოცა თემომ.

• • •

თემოს მეგობარმა უთხრა: დიეტით 17 კილო დავიკელიო.

— ვაჰ, მაგდენი რომ დავიკლო, ორი გავხდები, — მიუგო თემომ.

• • •

თემოსთან მისი შვილობილი ბადრი მივიდა. ამ [illegible] თემოს ხიდედრი გარდაიცვალა. ბადრიმ ყველაფერი მოაწესრიგა, რაც მიცვალებულს სჭირდებოდა. თემომ თავის მეგობართან ბადრი შეაქო: კეთილი გული აქვსო. გივი ბერიკაშვილმა შეხედა და უთხრა: — გული არ ვიცი, მაგრამ [illegible] კი მქონია. კარლო საკანდელიძემ ბადრის თხოვა: ამ დღეებში იქნებ ჩემთანაც გამოიაროო.

• • •

თემოს ანალიზისთვის სისხლი უნდა აეღო. რამდენჯერმე უჩხვლიტეს, სისხლი მაინც არ გამოუვიდა. თემომ გაკვირვებულ ექთანს ჰკითხა, — რას ეძებ მანდ? — რა ვიცი, სისხლი არ გამოდის, — შეწუხდა ექთანი. — ნუ ეძებ, შვილო, ჩემმა მეუღლემ, პეპელამ გამიშრო კარგა ხანია.

• • •

თემოსთან სტუმრად მივედით, მისი ტელევიზორი ნახევრად შავად აჩვენებდა „ფუთხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბერბიჭათა აღსაზრდელად

— საწყალ ნონას, ეტყობა ცუდად ზრდიდნენ. რა ულამაზოდ ჭამს.

— დედა გენაცვალოს, თამუნას სტუმრობისას ნუ დაიწყებ საუბარს მუსიკაზე და ლიტერატურაზე. ცოდოა, რა საჭიროა ისაუბრო მისთვის გაუგებარ თემებზე.

ან პირიქით:

— ნინიკოსთან საუბრისას სულ ტვინი უნდა იჭყლიტო, მაშინ, როცა ჩვენ უბრალო საუბარსა ვართ მიჩვეულნი.

არ დაგავიწყდეთ: საუბრისას უნდა იხმაროთ „ჩვენ" და არა „მე", „ვერ მოვეწყვეთ", „დავიცავით" „ვინაზულეთ" და ა. შ.

**მეორე და ასევე აუცილებელი:**

იცოდეთ, სხვებს აუკრძალეთ აუგის თქმა შვილზე (თუნდაც სამართლიანი). ამის უფლება მარტო თქვენა გაქვთ. დაიცავით შვილი მამის, მასწავლებლის, მეზობლის, ამხანაგისა და სხვათა საყვედურებისაგან. ოპონენტს ყოველთვის მშვიდად და აუღელვებლად დაუსვით შეკითხვა: — რატომ ვერ იტანთ ჩემ ბიჭს, რა დაგიშავათ? — მე დიდი ხანია ვამჩნევ, რომ სულ უარყოფითს ეძებთ მასში, გინდათ აუგად მოიხსენიოთ, რატომ? პასუხის მოლოდინში მწარე სიჩუმე ჩამოაგდეთ (ამ დროს მისი იქ ყოფნა სასურველია). ამით თქვენს პირმშოს დაუმტკიცებთ, რომ მას თქვენი სახით ისეთი დამცველი ჰყავს, რომ სხვა არავინ სჭირდება. უფრო მეტიც, სხვებს მისა შურთ და მტრობენ და რომ მარტო თქვენა ხართ სანდო,

**მესამე და ასევე აუცილებლად გასათვალისწინებელი:**

სახლის დალაგებისას გაითვალისწინეთ მისი გემოვნება და ინტერესები (თუკი მას სურს, საძინებელში დაუწყვეთ მანქანის საბურავები). საუზმისას ჩაი თვითონ დაუტკბეთ და მერე, კამფეტი ხელში კიბეზე გაეკიდეთ... და ბარემ სრულ მომწიფებამდე თვითონ დაბანეთ და გაუჯავრდით, თუკი აბაზანაში არ შეგიშვათ: „მე ხომ დედა ვარ და რისი გრცხვენია?"

**მეოთხე აუცილებლობა:**

ხშირად შეახსენეთ და შეუძახეთ: „ეს რა მყავხარ"! ინტონაციაში აღტაცება უნდა იგრძნობოდეს. ხშირად წაიჩურჩულეთ — „ჩემო ჭკვიანო, ლამაზო, მზეჭაბუკო"... გახსოვდეთ! სიყვარულისა და მოფერების მოთხოვნილება უძლიერესია ჩვენში არსებულ მოთხოვნილებებს შორის.

**მეხუთე — გაფრთხილდით!**

არავითარ შემთხვევაში შვილს არ უამბოთ თქვენს სასიყვარულო თავგადასავლებზე. გახსოვდეთ, შვილი თქვენთვის მუდამ (თვით დაბადებამდეც) იყო და იქნება ერთადერთი სიყვარული. საჭიროა დროდადრო საუბრისას ახსენოთ ის მსხვერპლი, რაც თქვენ მისი კეთილდღეობისათვის გაიღეთ. ნურც ავადმყოფობაზე წუწუნი გავიწყდებათ. თუმცა ხანდახან შვილმა უნდა დაგახუროთ თბილი პლედი, — თქვენ ხომ ფეხები გიცივდებათ, ჩაძინებისას ბალიშიც უნდა მოგიტანოთ და საბანიც შეგიკეცოთ. კაპრიზები ოდნავ გააძლიერეთ მაშინ, როცა ჩნდება შანსი „მეტოქის" გამოჩენისა.

**მეექვსე — არ შეშინდეთ!**

ბრძოლას წაგებულად ნუ ჩათვლით მაშინაც, როცა ბუნება თავისას გაიტანს. მაშინვე აღჭურვეთ შვილი ორსულობის საწინააღმდეგო საშუალებებით... თან აგრძნობინეთ, რომ „სიყვარულის შედეგების" სალიკვიდაციოდ ფინანსურ დახმარებას გაუწევთ.

**მეშვიდე და ბოლო:**

ხანდახან ჩაიხედეთ მის უჯრაში, ჩანთაში, ჯიბეში და ა. შ. იქნებ ვიღაცას გულისშემძვრელ წერილებს წერს. ეცადეთ ასეთი რამ ადრესატთან არ მოხვდეს! ტელეფონიც გონივრულად გამოიყენეთ, მას დიდი ძალა აქვს (მამხილებელი). იცოდეთ, თუკი ყურად იღებთ ამ რეკომენდაციებს და მოახერხებთ სიყვარული ამოუგდოთ გულიდან, მამაკაცობასაც ზედ მიაყოლებს და „დედიკოს ბიჭი" მხოლოდ თქვენი იქნება.

ოღონდ ერთი კი ფაქტია, გარკვეული დროის გავლის შემდგომ თქვენი და მითუმეტეს, თქვენი ბერბიჭასი არავის არაფერი შეშურდება.

**მანანა კეიდია,**
ექიმი გენეტიკოსი.



# ოხუნჯობენ

ვეთ გამოსახულება ცოტა გაუთეთრებიანა.

— რა ვიცი, პეპელაზე დაჩვეული ვარ შავი ხალის ყურებას და ამიტომ გათეთრება აზრადაც არ მომდის.

(ქ-ნი პეპელა შავყვარუშანი, სიმპათიური ქალი გახლავთ).

• • •

ბურიაში გასტროლების დროს ბატონ მერაბ დონაძეს მოუხდა ავტობუსით მგზავრობა. ერთი ლოროული ქალი სოფელში ფულის გადაუხდელად ჩავიდა.

— ქალო, რატომ არ იხდი ფულს? — შეკითხა მძღოლმა. — რავა, გუშინ არ მოგეცი? — ის გუშინ იყო. დღევანდელი მგზავრობის დღეს უნდა გადაიხადო. — გუშინ ხურდა რომ არ მომეცი, ის კაი იყო? — შენ იმერელი ქალი ხარ, შენს გადასასვლელზე ბალახი არ ამოვა. — მოიოხა გული მძღოლმა. რავა, მაგ თავზეც მე გადაგიარე, თმის ნატამალი რომ არ შეგრჩენია? — არ დაიბნა ენაკვიმატი ქალი.

• • •

ჩემმა მეუღლემ მერაბ დონაძემ მითხრა: — მშვენიერი სიზმარი ვნახე. შავ ზღვაზე კომფორტით ვმოგზაურობდი. ბოსფორის სრუტით თურქეთში შევედით, შემდეგ გზა საბერძნეთისაკენ განვაგრძეთ. ღმერთი არ გაგიწყრეს, არსად წამოგცდეს, თორემ საგზურის ფულს გადაგვახდევინებენ.

• • •

ერთ საღამოს ოჯახის წევრები ტელევიზორთან ვისხედით. ყველა სკამი დაკავებული იყო. შემოვიდა შვილიშვილი, მიიხედ-მოიხედა და რომ ნახა დასაჯდომი არსად იყო, შუა ოთახში ხელაწეული გაჩერდა. — რას აკეთებ, რატომ დგახარ ასე? — ვკითხეთ. — ვითომ ტროლეიბუსში ვარ, — მოგვიგო ბიჭმა.

მერაბ დონაძემ შვილიშვილი ფეხბურთზე წაიყვანა. ნაყინი უყიდა. ცოტახნის შემდეგ შეამჩნია, რომ ბავშვი მოთხუპნულა. — არა გრცხვენია? აბა, რასა გევხარ? — დატუქსა პატარა. — ორჯონიკიძის ძეგლს. — დაუფიქრებლად მიუგო ბავშვმა.

• • •

გაღვიძებულმა შვილიშვილმა მითხრა, — ბებო, იცი რა კარგი სიზმარი ვნახე? მოყოლა, რომ დაიწყო, ოთახში დედამისი შემოვიდა, — დედა, ახლა შენ განაგრძე სიზმარი, შენც ხომ იქ იყავი?

• • •

ბატონ ირაკლი აბაშიძესთან შეწუხებული მეზობელი შევიდა: ჩემმა შვილიშვილმა ტყვია გადაყლაპა და როგორ მოვიქცეო.

— რა ვიცი, რა გირჩიოთ. ისე 2 საათი ბავშვის უკან გავლას მაინც მოერიდეთ, — უპასუხა ირაკლიმ.

**დალი ნიჟარაძე-დონაძე**

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯანმრთელობა

# რას მოსდევს

საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მატების დაბალ დონეს განაპირობებს ბავშვთა ავადობისა და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლები და შობადობის დაბალი დონე. აღინიშნება უნაყოფო წყვილების სისტემატური მატებაც. სამედიცინო მიზეზებით რესპუბლიკა ყოველწლიურად 8000-ზე მეტ ბავშვს კარგავს, აბორტების შემდეგ კი ქალების 60-80 პროცენტს სხვადასხვა სახის გართულება უვითარდება, რაც მეორადი უშვილობის მიზეზი ხდება.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით უნაყოფობას ყველაზე ხშირად შარდსასქესო ორგანოების ინფექციური ანთებითი, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები — ქლამიდიოზი, ტრიქომონოზი, ურეაპლაზმოზი და გარდნერელოზი იწვევს.

ბოლო წლებში ყველა ქვეყანაში მატულობს შარდსასქესო ორგანოების არავენერული ანთებითი დაავადებები. ოთხმოციან წლებში კლასიკური, ტრადიციული ვენერული დაავადებანი — სიფილისი და გონორეა უკანა პლანზე გადავიდა და ადგილი დაუთმო არაკლასიკურ, არატრადიციულ, „მეორე თაობის" ე. წ. სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებს, რომლითაც დაავადებულია ყოველი მეოცე მოქალაქე; მათი ასეთი გავრცელება განაპირობა რადიკალურმა ცვლილებებმა სექსუალურ, ზნეობრივ ქცევებში, ოჯახზე ტრადიციული აზრის შეცვლამ და სხვა ფაქტორებმა.

ცნობილია სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა 20-ზე მეტი გამომწვევი ბაქტერია, ვირუსი, პარაზიტი და სხვა, რომლებიც შარდსასქესო ორგანოების ანთებით დაავადებებს იწვევენ. ამ ქრონიკული დაავადებების შედეგად ვითარდება სხვადასხვა სახის გართულება, რაც ხშირად ქალთა და მამაკაცთა უნაყოფობის მიზეზი ხდება. მეცნიერთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ არაგონორეული — არავენერული ურეთრიტები სამედიცინო და სოციალური თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გონორეა, რომლის მკურნალობა ხანმოკლე და ადვილია, გართულებები კი შედარებით იშვიათი. არაგონორეული დაავადებების მქონე ავადმყოფთა მკურნალობა თითქმის 100-ჯერ მეტი ჯდება, ვიდრე გონორეით დაავადებულთა და რაც მთავარია, მძიმე გართულებები 2-3 ჯერ უფრო ხშირად ვითარდება. გართულებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია უნაყოფობა. ყურადსაღებია, რომ ბოლო ათწლეულში სულ უფრო მცირდება ერთი რომელიმე სახის გამომწვევით განვითარებული დაავადება, გახშირდა შერეული ანუ ერთდროული ინფიცირება რამდენიმე გამომწვევით. ლიტერატურული და ჩვენი მონაცემებით უროგენიტალური ტრაქტის ანთებითი დაავადებები (60-80 პროცენტი) გამოწვეულია შერეული ინფექციით; ეს კი განსაკუთრებით საყურადღებოა იმიტომ, რომ ასეთი ფორმები მეტწილად ქრონიკულად და ასიმპტომურად მიმდინარეობს, მათი დიაგნოსტიკა დროულად არ ხდება და მკურნალობას მნელად ემორჩილება, რის გამოც გართულებებიც ორჯერ უფრო ხშირია. ამ მძიმე გართულებებიდან უნაყოფობის პარალელურად ყურადსაღებია სპონტანური აბორტები, მკვდრადშობადობა, საშვილოსნოს გარეშე ორსულობა, ნაადრევი მშობიარობა და სხვა. დადგენილია, რომ საშოსა და საშვილოსნოს ყელის ანთებით დაავადებულებში, ხელოვნური აბორტის შემდეგ ინფექცია ხშირად საშვილოსნოზე და მის დანამატებზე (საშვილოსნოს მილებზე და საკვერცხეებზე) ვრცელდება ანუ ე. წ. აღმავალი ინფექცია ვითარდება, მეტწილად მწვავე მიმდინარეობით, რაც უნაყოფობით მთავრდება. საშვილოსნოს მილების ასეთი მწვავე ანთებები (60-70 პროცენტი) გამოწვეულია ქლამიდიოზით. ფრანგი მკვლევარების მონაცემებით უშვილო ქალთა (81 პროცენტი) საშვილოსნოს მილების ანთება ქლამიდიოზური წარმოშობისაა. ამრიგად, ქლამიდიოზი უროგენიტალური ტრაქტის ინფექციური პათოლოგიის ყველაზე აქტუალური პრობლემაა.

ამერიკელი, ინგლისელი და ფრან-



# ქრონიკა

● რესპუბლიკის ქალთა საბჭომ და „საქართველოს ქალის" რედაქციამ № 1 ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოთავსებულ ლტოლვილ ბავშვებს საჩუქრად გადასცეს წიგნები და ფული, რამაც გაახარა პატარა პაციენტები და მათი მშობლები.

● ხელოვნების აკადემიის კოლექტივმა (რექტორი ფ. ფანიაშვილი) შეხვედრა მოუწყო ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციას.

შეხვედრაზე, რომელიც მშვენიერი კონცერტით დამთავრდა, მოწვეული იყვნენ ლტოლვილები, რომლებსაც გადაეცათ საჩუქრები. გარდა ამისა, ლტოლვილ ბავშვებს, რომლებსაც მუსიკალური ნიჭი აქვთ, აკადემიის პედაგოგები უსასყიდლოდ ამეცადინებენ.

● ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციამ თავისი ერთი ნომრის ჰონორარი 2500 მანეთი მთლიანად გადარიცხა თავდაცვის ფონდში.

● მედიცინის მუშაკთა სახლში ჯანმრთელობისა და მოწყალების ფონდმა და რესპუბლიკის ქალთა საბჭომ შრომისა და ომის ვეტერანებს, მარტოხელა ქალებს, პენსიონერებს, აფხაზეთის ომში დაღუპული ნუგზარ მიხანაშვილის ოჯახს და სხვებს გადასცეს საახალწლო ნობათები. შეკრებილებს გულთბილად მიესალმნენ ქართველი პოეტები, ხელოვნების მუშაკები, სოცუზრუნველყოფის და დემოგრაფიის მინისტრი ვაჟა გუჯაბიძე, ჯანმრთელობისა და მოწყალების ფონდის პრეზიდენტი თეიმურაზ თოფურია, აკადემიკოსი სიმონ ხეჩინაშვილი, საქართველოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზინაიდა კვაჭაძე და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უნაყოფობა?

გი მკვლევარები აღნიშნავენ, რომ სპონტანური აბორტების 20-40 პროცენტი ქლამიდიოზით და მიკოპლაზმოზითაა გამოწვეული, 57 პროცენტი კი მათი ასოციაციით. იაპონელებმა გამოიკვლიეს 200-მდე უნაყოფო წყვილი, რომელთა 40 პროცენტს საშვილოსნოს ყელში და სპერმაში მიკოპლაზმა აღმოაჩნდა.

ჩვენი მონაცემებით შარდსასქესო ორგანოების ანთებით დაავადებულ ქალთა 82 პროცენტს სხვადასხვა სახის გამომწვევი აღმოაჩნდა, მათ შორის ქალთა 81 პროცენტს და მამაკაცთა 40 პროცენტს შერეული ინფექციით გამოწვეული დაავადებები აღენიშნათ, მეტწილად ასიმპტომური მიმდინარეობით. უშვილო წყვილებში ქალების 54 პროცენტს და მამაკაცების 41 პროცენტს გარდა გონორეისა, ქლამიდიოზი და ურეაპლაზმოზი დაუდგინდა. ქალების 58 პროცენტს და მამაკაცების 33 პროცენტს აღენიშნებოდა რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევა.

ქლამიდიოზი, ურეაპლაზმოზი და გარდნერელოზი მეტწილად უსიმპტომებოდ, ფარულად მიმდინარეობს. იშვიათად, ქალები უჩივიან გარეთა სასქესო ორგანოების წვას და ქავილს, ხოლო ინფექციის საშვილოსნოს ყელზე, საშვილოსნოზე და მის მილებზე გავრცელების შემთხვევაში მათ აწუხებთ თეთრად შლა, ზოგჯერ სისხლისდენა, ყრუ ტკივილები მუცლის ქვემო არეში. ასე ქრონიკულად მიმდინარე ანთება საშვილოსნოს მილების სანათურის დახშობას ანუ გაუვალობას იწვევს, რაც უნაყოფობის მიზეზი ხდება. მამაკაცები უჩივიან წვას და ტკივილს მოშარდვისას და მცირე გამონადენს შარდსადენიდან. ინფექციის სათესლე ჯირკვლებზე გავრცელებისას მამაკაცი განაყოფიერების უნარს კარგავს. ამრიგად ეს ანთებები ხასიათდება ქრონიკული, ფარული მიმდინარეობით და მრავალფეროვნებით.

ქლამიდიოზით და ურეაპლაზმოზით დაავადებული დედებისაგან ხდება ბავშვების ინფიცირება ორსულობის ხანაში, მშობიარობის დროს და შემდეგაც, რაც ზოგჯერ პროცესის გენერალიზაციით და მეტად მძიმედ მიმდინარეობს. ახალშობილთა 50-60 პროცენტს სამი თვის ასაკამდე უვითარდებათ ქლამიდიოზური ფილტვების ანთება, 20 პროცენტს — კონიუნქტივიტი, ყურების ანთება და ვულვოვაგინიტი, 30 პროცენტს — კუჭნაწლავისა და საშარდე სისტემის დაავადება, 3 პროცენტს კი ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება აღენიშნება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქლამიდიოზი და ურეაპლაზმოზი შარდსასქესო ორგანოების სქესობრივი გზით გამომწვევ არავენერულ დაავადებებში ამჟამად ყველაზე გავრცელებული დაავადებებია, რომლებიც თითქმის უსიმპტომოდ, მაგრამ მძიმე გართულებებით მიმდინარეობენ და რომელთა შორის მთავარია უნაყოფობა, გასაგები გახდება ავადმყოფთა დროული გამოვლინებისა და სრულყოფილი მკურნალობის დიდი მნიშვნელობა უნაყოფობის პროფილაქტიკაში. უწინარეს ყოვლისა, სავალდებულო გამოკვლევას (ზემოაღნიშნულ ინფექციებზე) საჭიროებენ უშვილო წყვილები, ქალები სპონტანური აბორტებით, მკვდარადშობადობით, ნაადრევი მშობიარობით, საშვილოსნოს გარეშე ორსულობით, ტკივილებით მცირე მენჯის არეში, თეთრად შლით და ყველა სახის დისკომფორტით გენიტალიუმის არეში; მამაკაცები — საშარდე მილის, სათესლე და წინამდებარე ჯირკვლების ანთებით და ახალშობილები — კონიუნქტივიტისა და ვულვიტის მოვლენებით, კუჭნაწლავის აშლილობით და ფილტვების ანთებით.

სამწუხაროდ, ეს გამოკვლევები ჯერ მხოლოდ თბილისის რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში ტარდება (დერმატოლოგიის, ადამიანის რეპროდუქციის და მეანგინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში), რომლებსაც დროულად უნდა მიმართონ.

**ლუბა შეჭირული,**

ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი, პროფესორი.



## ცნობისმოყვარეთათვის

# ას წლამდე რომ იცოცხლოთ...

საუკუნის დასაწყისში, 1904 წელს, ბირმინგემში წაკითხული ლექციებით ექიმი ჯეიმს საუაიერი ურჩევდა ხანგრძლივი სიცოცხლის მსურველებს:

„ლოგინში 8 საათი გაატარეთ. იწექით მხოლოდ მარჯვენა გვერდზე. ოთახში ჰაერი მთელი ღამე იწმინდებოდეს. საწოლის კარზე ფარდა ჩამოაფარეთ, რომ გამჭოლმა ქარმა არ დაგიზიანოთ. საწოლს კედელთან ნუ მიადგამთ, ყოველ დილას აბაზანა მიიღეთ, ცხელი კი არა, წყლის ტემპერატურა უტოლდებოდეს სხეულისას. დილით რაც შეიძლება ადრე ისაუზმეთ. ხორცი მცირედი მიირთვით, ისიც კარგად შემწვარი. ნუ დალევთ რძეს (რა თქმა უნდა, მოზრდილები). მიიღეთ ბევრი ცხიმი (ცხიმი კვებავს უჯრედებს, რომლებიც სპობენ ავადმყოფობის გამომწვევ მიკრობებს, არ იხმაროთ ნარკოტიკები. მთელი დღე სუფთა ჰაერზე იმოძრავეთ. ბინაში არ იყოლიოთ ცხოველები. უმჯობესია იცხოვროთ სოფლად, სუფთა ჰაერზე. სვით მხოლოდ წყალი. ერიდეთ წესტს. ერთფეროვან საქმეს ნუ გააკეთებთ, დროდადრო შეისვენეთ და დაიძინეთ კიდეც.

მოთოკეთ თქვენი მისწრაფებანი: მეტისმეტად ნუ გაგიტაცებთ სიყვარული. ნუ იქნებით პატივმოყვარე, მოეშვით პოლიტიკას და კონტროლი გაუწიეთ გრძნობებს."

არ ვიცით, იცოცხლა თუ არა ექიმმა ჯეიმს საუაიერმა ას წლამდე. მის რჩევებს დღევანდელი რეკომენდაციები დიდად არ ემთხვევა. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ახლა სულ სხვანაირად ვცხოვრობთ, ვიდრე ამ საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდნენ.

ამბობენ, ცდა ბედის მონახევრეაო. ვენდოთ პატივცემულ ექიმს, იქნებ გაგვიმართლოს!

# მითხარი, როგორ გძინავს და გეტყვი — ვინ ხარ!





ქალებს, მამაკაცებთან შედარებით ერთი საათით მეტი სძინავთ. შეიძლება ამის გამოცაა, რომ ისინი მამაკაცებზე 5-7 წლით მეტს ცოცხლობენ.

ამერიკელი სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ახალგაზრდობის ყველაზე სასწაულმოქმედი ელექსირი სწორედ ძილია. ფიზიკური დაღლილობის მოხსნა მოკლე ხანშიც შეიძლება, მაგრამ ნერვული სისტემის აღდგენას, სულ ცოტა, შვიდი-რვა საათით ღრმა ძილი სჭირდება.

ყველა ქალმა იცის: საკმარისია ერთი უძილო ღამე და სახე ჭკნება, თვალები — მიმქრალი, ზოლო ნაოჭები უფრო ხშირი და შესამჩნევი ხდება.

მეცნიერებმა, რომლებიც სწავლობენ ადამიანის ჯანმრთელობაზე ძილის ზემოქმედებას, გამოიმუშავეს მარტივი წესები, რომლებიც ყველა ქალმა უნდა დაიცვას.

ყველაზე კარგად ადამიანი ღამით ისვენებს, როცა ბუნება ანელებს სასიცოცხლო რიტმს, ზოლო ადამიანის ორგანიზმში ხდება ქსოვილების აღდგენა და მავნე ნივთიერებათა გამოყოფა.

ძილის წინ ეცადეთ განთავისუფლდეთ ყოველგვარი საქმისაგან, უსიამოვნებებისგან, ნუ წაიკითხავთ მწვავე სიუჟეტიან წიგნს და ნურც ასეთ ფილმებს უყურებთ. ისინი ტვირთავენ ცნობიერებას და მტანჯველ სიზმრებს იწვევენ.

საღამოზანს ნუ გადაიტვირთებით საჭმლით. საკვების გადამუშავება იწვევს სისხლის მიწოლას მუცლის არეზე და კუჭი მთელი დატვირთვით მუშაობს, რითაც აწუხებს ნერვიულ სისტემას.

იძინეთ სრულ სიბნელეში. მისაღებია საძინებელი ოთახის კედლების ღია ფერით შეღებვა.

იდეალური ტემპერატურა საწოლ ოთახში დაახლოებით 20 გრადუსია. უფრო მაღალი ან ნაკლები ტემპერატურა შფოთიან ძილსა და უსიამოვნო სიზმრებს იწვევს. კარგად განიავებულ ოთახში ძილი ბევრად უფრო სასარგებლოა. ლოგინი არ უნდა იყოს უსწორმასწორო. მაღალი სასთუმალი და ძალზე რბილი ლეიბი იწვევს ხერხემლის გამრუდებას. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ დედამიწის მაგნიტური ველი დიდ ზეგავლენას ახდენს ძილზე და მძინარის შეგრძნებაზე. ასეთ მაგალითად, თუ მძინარე ადამიანს სასთუმალი აღმოსავლეთისაკენ აქვს, ძილი მშვიდი და ღრმა იქნება. ყველაზე ცუდია, თუ სასთუმალი ჩრდილოეთისკენ იქნება. ასეთ შემთხვევაში, ადამიანი დღის განმავლობაში თავს დაჩაგრულად და აპათიურად იგრძნობს. ასე რომ, აიღეთ კომპასი და გასინჯეთ, რომელ მხარეს დგას თქვენი ლოგინი.

და... საყვარელი მამაკაცი. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ შეყვარებულ ქალს გაცილებით ჯანსაღად სძინავს. ამ მიმართებით მაგალითს ფრანგები გვაძლევენ. მათ დიდ უმრავლესობას ანგელოზებივით სძინავთ. ასე განაცხადა გამოკითხულთა 82 პროცენტმა. ფრანგი ქალების 45 პროცენტს კაცებისგან განსხვავებით სასიყვარულო საქმიანობა საღამოს ბნელში ურჩევნია და მხოლოდ 25 პროცენტი გრძნობს თავს კარგად ანთებულ შუქზე. 32 პროცენტს სიყვარული ურჩევნია კითხვას, 33 პროცენტს — პირიქით, 39 პროცენტი ინტიმური ცხოვრებისას საუბრობს.

აი, როგორი საინტერესო დაკვირვება გააკეთა ამერიკელმა ფსიქიატრმა სემუელ დუნელმა. მათ, ვისაც მოკუნტულებს სძინავთ, ეძახიან „კოკორს", ამ ხალხს ქვეცნობიერად არ სურს ბავშვობასთან განშორება. მათ სურთ ძლიერი ადამიანის მფარველობის ქვეშ ყოფნა. გაურბიან პასუხისმგებლობას და თანაბრად ექცევიან კარგი და ცუდი გავლენის ქვეშ. ისინი მგრძნობიარე, იმპულსური პიროვნებები არიან, რომლებიც ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტაში უფრო წუთიერი განწყობილებით ხელმძღვანელობენ, ვიდრე ჯანსაღი გონებით.

ისინი, ვინც მუცელზე წვანან და ცალი ფეხი მოღუნული აქვთ, როგორც წესი, თავის თავში დარწმუნებული, პუნქტუალური, საღად მოაზროვნე და წესრიგის მოყვარული ხალხია. ისინი ვერ იტანენ მოულოდნელობებს, ანგარიშიანნი და წინდახედულნი არიან. უყვართ თავისი აზრის სხვებისთვის მოხვევა და ბრძანება.

ისინი, ვინც ზურგზე წვანან თავქვეშ ამოდებული ხელებით, ადვილად შედიან კონტაქტში, გულითადები და კეთილები არიან. მათ იციან თავიანთი ნაკლოვანებების შესახებ, მაგრამ ამჯობინებენ მათზე არ იფიქრონ. ისინი ნათელი გონების, მეგობრულად განწყობილი ხალხია და არ სურთ გაირთულონ ცხოვრება. ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა ადვილია. ისინი ბავშვობაში მშობლებისგან გათამამებულები იყვნენ. მათ შეიძლება ბედის ნებიერებიც ვუწოდოთ.

ისინი, ვისაც გვერდზე სძინავთ ოდნავ მოხრილი მუხლებით, — გაწონასწორებული და დამთმობი ადამიანები არიან. იშვიათად ებმებიან ჩხუბში, ამჯობინებენ გონივრულ კომპრომისს და იოლად ეგუებიან ყოფით სირთულეებს. მაგრამ მათ არ გააჩნიათ საკმარისი სითამამე, ენერგია და ნებისყოფა მიზნის მისაღწევად. ისინი არ არიან პატივმოყვარენი, არ ესწრაფვიან პირველობას. ურჩევნიათ ჩრდილში დარჩენა, მითუმეტეს, თუ ეს ჩრდილი პატივსაცემი ადამიანისაა.

რა თქმა უნდა, ასეთმა დაკვირვებებმა შეიძლება ღიმილი მოგგვაროთ, თუმცა მათში რაღაც მაინც არის...

თარგმნა **ნათია ბჟახალიამ**

„ხვეტ"

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცირა ქიტიაშვილი

„საქართველოს ქალის" რედაქცია ულოცავს ქ-ნ ცირა ქიტიაშვილს იუბილეს და შიო მღვიმელის პრემიის მიღებას.

## ლუნდულა

ლუნდულა თეთრი წიწილა
ჭიჭყართან მოჩეწილა,
— მეც მინდა შენთან თამაში
წამიყვა, წიავ, წიაო.

გამოხტა კრუხი ქოთქოთა
შავი დიდი ლამაზიაო.
— ჩქარა აქედან გამშორდი,
ჩემია ეს პაწიაო!

## ჭრიჭინა

ამ ჭრიჭინას პაწიას
სახლი ხომ არ დასწვია?!
მაშ ასე რად იჭრიჭებს —
ჭრიჭინებს და ჭრიჭინებს...
— წამიხდინა გუნება,
წყარო მედუდუნება.

## მიყვარს...

როცა ყველანი შინა ვართ,
შეშას ვწვავთ პაპის მოტანილს,
ბუხარში ცეცხლი ანთია.
თუხთუხებს დიდი ქოთანი.

დედა დაუკრავს გიტარას,
აჰყვება მამის ფანდური,
ხალამფურს ააკრაკებს
ბადურა პირგაბადრული.

პაპა მკლავს გაშლის სალხინოდ
დევივით წამომართული,
მე და მამიდა ტაშს ვუკრავთ.
ზეიმობს ხანჯი ქართული.

აგვიცეკვდება დიდედა,
გავიხსენეთ წარსული,
გარეთ მთხრობელად იქარის
კვამლი ბუხრიდან წასული.

## მოვარჩინე ალერსით

ავად თუ ვარ,
დედაცა სწუხს,
მამაცა სწუხს,
— სურდო გჭირს და ხველებაო.
თუ წამალი არ დალიე,
რა ვქნათ, რა გვეშველებაო.
დედას ვუთხარ,
მამას ვუთხარ,
მაგრამ ჩემი არ ესმით,
— ავად მყავდა ფისუნია,
მოვარჩინე ალერსით.
მეც მომარჩენს მოფერება
თქვენი უმხურვალესი.



## კოჭლა ვირი

მოუყროყინებს კოჭლა ვირი,
— არ მინდიხარ უნაგირი;
მეი, ჩემო პატრონო,
გადმოადგი ფეხით,
შემოდგომა დამდგარა,
გამიმართე კეხით,
გადამკიდე გოდრები,
რთველში გამიძეხით.

მხატვარი ცინარა ტერელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ არ მივბაძოთ ევროპელ ქალებს?

გქონიათ თუ არა შემთხვევა, როცა სრულიად უცნობ ადამიანთან ტელეფონით საუბრის შემდეგ, ერთი სული გაქვთ კარგად გაიცნოთ და დაუახლოვდეთ მას? სწორედ ასეთი გრძნობა დამეუფლა ქალბატონ იზოლდა ყორომშვილთან ტელეფონით საუბრისას.

ამ ბედნიერ შემთხვევას უნგრული ენის ცოდნას ვუმადლი. იგი ჩემი თარგმანებით დაინტერესდა. საუბარი გაგვიგრძელდა, ისეთი სიტკბო, უშუალობა, გულთბილობა ვიგრძენი, რომ აღარ მეთმობოდა, მეჩვენებოდა, ბავშვობიდან ერთად შეზრდილ მეგობარს ველაპარაკებოდი.

ამის შემდეგ ქალბატონი იზოლდა უნგრეთში წავიდა. ამჟამად იგი ბუდაპეშტში მეუღლესთან ერთად ცხოვრობს.

ერთ საღამოს, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საზოგადოების შენობაში, საქართველო-უნგრეთის ასოციაცია „ხიდის" სხდომაზე შევხვდი.

გამაოცა მისმა დახვეწილმა ქართულმაც. ვერც კი შეატყობთ, რომ ოცდაათ წელზე მეტ ხანს მოსკოვსა და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში უცხოვრია.

ცოტა მოგვიანებით სახლში მიმიწვია და ვაჟიშვილი, ზაზა გამაცნო, ტიბეტური მედიცინის შესანიშნავი მცოდნე. ზაზას ბავშვობაში დიდი ტრავმა ჰქონია გადატანილი ორივე ფეხზე. ამის გამო შეუსწავლია უშუ ვარჯიშები, რაც სამედიცინო მკურნალობისა და ოპერაციების შემდეგ დიდად დახმარებია ტრავმირებული კიდურების გამოჯანმრთელებაში. გულდასმით შეუსწავლია ტიბეტური მედიცინაც და ახლა საკმაოდ დიდი გამოცდილება და ცოდნა აქვს, მკურნალობს პარალიზებულ ბავშვებს, რომ გამართულად იწყონ სიარული. თვითონ კი, ვერავინ შეატყობს, თუ ასეთი დიდი ტრავმა აქვს გადატანილი. მკურნალობაში, რაღა თქმა უნდა, დიდია დედის დამსახურება.

ქალბატონი იზოლდა შესანიშნავი დიასახლისია, სუფრაზე პატარა საიდუმლოც გამანდო, — ზოგჯერ, თავისუფალ დროს რომ ვიშოვი, ჩემთვის ლექსებსაც ვწერო. პატარა ნაწყვეტიც წამიკითხა:

მხოლოდ მე ვიცი ჭაღარას ფასი,
მხოლოდ მე ვამჩნევ თვალებში
ღარებს,
გულის კანკალით გავხედავ წლებს და
უძილო ღამეს, ვერ ვხუჭავ თვალებს.
მაშინ დაბერავს სურვილის სიო,
მაშინ აფრქვევენ თვალები ალებს,
მხოლოდ მე ვიცი, როდის უჩნდებათ
ფარული სევდა ლამაზმან ქალებს.

საუბარი ქართველი და ევროპელი ქალების შესახებ გავაგრძელეთ: — ჩვენს ლამაზ ქალებს მალე ეტყობათ წლები, მალე ბერდებიან, — მითხრა ქალბატონმა იზოლდამ, — ამის უპირველესი მიზეზი ბევრი საზრუნავი და საფიქრალია, თავის მოვლას კი ვეღარ ასწრებენ. პირველად, ევროპაში რომ ჩავედი, ყველა ქალის მშურდა, ყველას ისეთი გალაღებული, მოღიმარი სახე ჰქონდა. კარგად ეცვათ, ხანდაზმულებიც კი ახალგაზრდული სიხალისით, წელში გამართულნი დააბიჯებდნენ. ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა განსაცვიფრებელი პატივისცემა ქალისადმი.

უნგრეთში ახალი ჩასული რომ ვიყავი, პატარა ბიჭი შემომხვდა ლიფტში, თავაზიანად ქუდი მომიხადა და მითხრა: „ჩოკოლომ!" — „ხელზე გემთხვევით!" ალბათ მეზობელი ვეგონე-მეთქი, ვიფიქრე. მაგრამ შემდეგ, დავრწმუნდი, როგორ დიდ სითბოს, პატივისცემას და სიყვარულს ამჟღავნებდნენ ამ ქვეყანაში ქალების მიმართ.

უნგრულ ოჯახში, შეიძლება ითქვას, ქალის კულტია. მამაკაცი მათ შრომას ინაწილებს, ბავშვები დედას, ბებიას თქვენობით მიმართავენ, ძალიან მოკრძალებულები არიან ქალების მიმართ. ამიტომაა, რომ ისინიც სულ იღიმებიან, მოხუცი ქალებიც მოდური ტანსაცმლით დადიან და ცდილობენ ლამაზად გამოიყურებოდნენ. ეს ხომ ყოველთვის სასიამოვნოა! რატომ არ უნდა მივბაძოთ ქართველებმა ევროპელ ქალებს?

**ლილი მაისურაძე-მორგოშია**



## ასფურცელა



### პატარძალს — ყვავილები, მაგრამ რომელი?

გახსოვთ ალბათ ფილმი „შავი ვარდია სევდის სიმბოლო, წითელი — სიყვარულისა". მაგრამ ფილმის ავტორები თურმე ცდებოდნენ. წითელი ფერი ვნების ფერად ითვლება და არა სიყვარულის სიმბოლოდ. ასე რომ, წითელის მირთმევა პატარძლისათვის ცოტა უხერხულია.

უხსოვარი დროიდან ქორწილის დღისათვის სხვადასხვა ხალხს სხვადასხვა ყვავილი ჰქონია. ევროპელთათვის საქორწილო ყვავილად აკაცია ითვლებოდა. აკაციის ყვავილი ამაღლებული, სპეტაკი სიყვარულის განსახიერებად მიაჩნდათ.

თეთრი შროშანების თაიგული საპატარძლოს ხელში ხაზს უსვამდა მის ქალწულებრივ სინორჩეს;

ოჯახური ბედნიერების საწინდარი ძველ გერმანიაში ტყის შროშანი ყოფილა.

ძველი ბერძნებისა და რომაელებისათვის ვარდისფერი და თეთრი ვარდების გვირგვინი სილამაზისა და განაყოფიერების სიმბოლოდ ითვლებოდა.

შუა საუკუნეებში საპატარძლოს უფრო მოკრძალებულ ყვავილებს — ზიზილას ან ფურისულას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიართმევდნენ, რაც ეროვნულების წინაშე მიაჩნდათ.

ჩვენთან, მზის და ვარდების ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, რომ ყვავილების ღირებულებამ ასტრონომიულ ციფრებს მიაღწია, იგი მაინც ყველაზე ხელმისაწვდომ და სასურველ საჩუქრად მიგვაჩნია.

მეყვავილე დეკორატორები გვირჩევენ: ნუ მიიტანთ საჩუქრად დიდ და მძიმე თაიგულებს, საკმარისია 5-9 ყვავილი. სამარტოვოდ ვარდისფერ ან თეთრ ვარდებს უძღვნიან. მხოლოდ, გახსოვდეთ: ვარდს წინასწარ მოაცილეთ ეკლები, თეთრ ზრომანებს კი ყვითელი მტვრიანები, რომ სამარტოვოდ კაბა არ გაუფუჭოს.

## მიმზიდველი რომ იყოთ

თუ გსურთ დიდხანს შეინარჩუნოთ ახალგაზრდული იერი, მოუარეთ სახის კანს. ამისათვის აუცილებელი არ არის ხანგრძლივი, დამღლელი პროცედურები, გაიმეტეთ 15-20 წუთი.

თუ ცხიმიანი კანი გაქვთ, დილასაღამოს დაიბანეთ სახე თბილი წყლით და საპნით, შემდეგ კი ლოსიონით გაიწმინდეთ. კვირაში ერთხელ სასურველია 10-15 წუთით სახე გააჩეროთ მცენარეთა ნახარშ ქაფქაფა წყლის ორთქლზე (წყალში ჩაყარეთ მცირეოდენი გვირილას ან ცაცხვის ყვავილი, პიტნის ან არყის ხის ფოთლები, კარგია მუხის ქერქიც); ამ მცენარეთა ნახარში ორთქლის აბაზანები კარგად წმენდს სახეს და ფესებს ფორებს.

ძალიან ცხიმიანი სახისათვის კარგია ალოეს წვენი, იგი აყოვნებს კანის ჭკნობას და ხელს უწყობს უჯრედების აღდგენას.

## ალოეს ლოსიონი მობერებული კანისათვის

100 გრამი ალოეს ფოთოლი (სასურველია ალოე იყოს ხუთ ცოტა სამწლიანი ასაკის). 15 დღე გააჩერეთ მაცივარში, შემდეგ გამოიღეთ, გარეცხეთ, დაასხით 2 ლიტრი წყალი, დატოვეთ ახე ორი საათი, შემდეგ შედგით ცეცხლზე და ადუღებისთანავე გადმოდგით. ალოეს წვენში დასველებული დოლბანდი ხუთთა სახეზე დაიფინეთ კვირაში სამჯერ ათი წუთის განმავლობაში.

## ცილისა და ლიმონის ნიღაბი

ერთი კვერცხის ცილი კარგად ათქვიფეთ, დაუმატეთ ერთი ჩაის კოვზი ლიმონის წვენი, ნარევი წაისვით დაბანილ სახეზე, გაიჩერეთ 15-20 წუთი და თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

ეს ნიღაბი ათეთრებს და ახალისებს სახეს.

## სახამებლის ნიღაბი

ერთ ჩაის კოვზ სახამებელს (კარტოფილის ფქვილს) დაასხით ბორის მჟავას ხსნარი (5 გრ ბორის მჟავა გახსენით ნახევარ ჩაის ჭიქა ანადუღარ ცივ წყალში), რომ მიიღოთ ფაფისებრი მასა. სახამებლის „ფაფა“ წაისვით სახეზე და გაიჩერეთ 10-15 წუთი; შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

## ფერიმჭამელას მოსაშორებლად

ერთ სუფრის კოვზ მინდვრის შვიტას დაასხით 1 ჩაის ჭიქა ქაფქაფა წყალი (უმჯობესია მოათავსოთ თერმოსში), ერთი საათის შემდეგ გაწურეთ დოლბანდში და თბილი ნაყენით დაიბანეთ სახე.

## „სასწაულმოქმედი“ საშუალება მზით დამწვრობისას

ყველაზე კარგი, თითქმის სასწაულმოქმედი წამალი მზით დამწვარი კანისათვის არის ჩვეულებრივი კარტოფილი. თუ მზისაგან კანი გაგიწითლდათ და წვასაც გრძნობთ, გათალეთ ორი-სამი უმი კარტოფილი, წვრილ სახეხზე გახეხეთ და დამწვარ ადგილებზე თხელ ფენად გადაისვით, უმჯობესია თუ სუფთა ნაჭერზე სქლად წაუსვამთ კარტოფილის მასას და ისე დაიფენთ. პერიოდულად კი შეცვალეთ მას ახლადდამზადებული მასით.

შესანიშნავი საშუალებაა დამწვრობის სამკურნალოდ ჭინჭრის ნაყენი. მისი მომზადების წესი ასეთია: ახალ, მხუსხავ 1 ჭიქა დაქუცმაცებულ ჭინჭრის ფოთლებს დაასხით 0,5 ლიტრი არაყი და დააყენეთ 2 თვე. თუ საჭიროება იქნა, ამ ნაყენში დასველებული სუფთა დოლბანდი დაიფინეთ დამწვარ ადგილზე.

## უცხოური იუმორი

დედა-შვილი საპორტულ მაღაზიაში შევიდნენ.

— მამა, მიყიდე შარვალი. ბიჭები ყოველ დილით ვივარჯიშებ, — მიმართა შვილმა მამას.

მამამ ცოტა დაეჭვებით შეხედა. მერე გამოწვრთილ ჩექი, ჯაღაბაცა გამოიღო და გასასვლელისკენ გაემართა.

— ეი, — დაუყვირა შვილმა, — სად მიდიხარ, შარვალს მე ხომ ვერ მივიტან მანქანამდე?

— მე მსურს მარგალიტის მძივი, რომელიც პირველ მოქმედებაში უნდა გავიკეთო, ნამდვილი იყოს — განუცხადა ჭირვეულმა მსახიობმა თეატრის დირექტორს.

— კარგი, ისე გავაკეთებ, როგორც შენ გსურს, მძივიც ნამდვილი იქნება და შხამიც, რომელიც ბოლო მოქმედებაში უნდა დალიო, — მშვიდად მიუგო დირექტორმა.

ტელეფონი რეკავს. ყურმილს ხაზი ქალიშვილის მამა იღებს და ესმის, რა ესმის:

— ეს შენა ხარ, ჩემო ხაყაყუნა?

— არა, მე ხაყაყუნების მეპატრონე ვარ.

ცოლმა ხუმრობით იკივლა! ქმარმა ცხვირზე ხელი აიფარა. ქალმა ჩაილაპარაკა:

— არც მეგობრებს ჰგონიათ, როგორ მოეწონს ჩემი ახალი ხუმრობა, ისედაც ყველაფერი ნათელია.

ავტოგასამართავ სადგურს ძველი ავტომანქანა მიუახლოვდა.

— მეგობარო, მიშველე. ფული არა მაქვს, ბენზინიც მითავდება, არადა აუცილებლად უნდა ჩავიდე ჩიკაგოში, — მიმართა სადგურის მეპატრონეს მძღოლმა.

— კარგით, მე ცოტას ჩაგისხამთ.

— არ შეგიძლიათ ფული მასესხოთ? იქ კუთხეში ბენზინი გაცილებით იაფია.

ჟურნალისტი ცნობილ მომღერალს ეკითხება:

— ყველაზე უფრო რა პრობლემები გაწუხებთ?

— როცა ტელევიზიით მიღებენ, მელები ხალ წავიდლო არ ვიცი.

— არ გიცდიათ პირზე მიიფარეთ?

— ამ შემთხვევაში გაგატანთ ცოლად ქალიშვილს, თუ მიატოვებთ სმას, წევას, მეგობრებთან ფეხბურთზე სიარულს, იჯდებით სახლში, გარეცხავთ ჭურჭელს, თეთრეულს, დაალაგებთ სახლს.

— გამოდის, მე მოვყვები თქვენს ქალიშვილს ცოლად.

— ძვირფასო, წუხელ ვფიქრობდი, შეგვეძლოს ისე ვიცხოვროთ სასტუმროში, ვერავინ მიხვდეს რომ ცოლ-ქმარი არა ვართ.

— ეს სულ იოლია, საყვარელო, მე წინ წავალ, შენ უკან გამომყვები ჩემოდნით ხელში.

ინგლისურიდან თარგმნა
ნინო ლორთქიფანიძემ

# კულინარია კულინარია

## სტაფილოს სალათა

2-3 თავი საშუალო ზომის ხახვი (150 გრამი) დაჭერით ალყა-ალყა, მოათავსეთ თასში, დაასხით 2 სუფრის კოვზი ძმარი, 50 გრამი მზესუმზირის ან სხვა ზეთი, მოაყარეთ ნახევარი ჩაის კოვზი მარილი, შეურიეთ 3 კბილი დანაყილი ნიორი, დაახურეთ თავზე და დატოვეთ ასე. ერთი საათის შემდეგ ხახვს დაუმატეთ 350-400 გრამი მსხვილ სახეხზე დახეხილი ან ძალიან თხლად და მოგრძოდ დაჭრილი სტაფილო, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ქინძი, ოხრახუში და კამა (ერთ-ერთი მაინც), ფრთხილად აურიეთ ორი ჩანგლით (უშნოდ რომ არ აილესოს), გაშლილად მოათავსეთ შესაფერის თეფშზე ან პატარა ლანგარზე და მორთეთ ზემოდან იმავე მწვანილით.

## სალათა „პირშუშხა“

200-300 გრამი შავი ბოლოკი გაათალეთ, დაჭერით ძალიან თხლად და წვრილად ან დახეხეთ მსხვილ სახეხზე. დაუმატეთ გათლილი და ასევე წვრილად დაჭრილი ორი დიდი ვაშლი (რბილი ჯიშის), ალყა-ალყად დაჭრილი ორი დიდი ხახვი, მოათავსეთ ერთ თასში, მოაყარეთ ყველანაირი მწვანილი და მოასხით 1 ჩაის ჭიქა მწვანე პამიდორის მწნილის წვენი ან პამიდორის საწებელი, თუნდაც ტყემალი და 2-3 სუფრის კოვზი ზეთი. მარილი თქვენი გემოვნებით.

## სალათა ბარდით (მუხუდოთი)

მასალა: 150-200 გრამი მუხუდო მოხარშული და არა ჩაშლილი, 150 გრამი ოდნავ მოხარშული სტაფილო, 200 გრამი მოხარშული, გაწურული კომბოსტო, 100-150 გრამი ალყა-ალყად დაჭრილი ხახვი, 150 გრამი მჟავე კიტრი ან პამიდორი, ქინძი, კამა, ოხრახუში და ახალი ხახვი.

დაჭერით მოგრძო და თხელ ნაჭრებად სტაფილო, ასევე თხლად და ძაფისებურად კომბოსტო, ყველაფერი მოათავსეთ ერთ თასში, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანილეული, მოასხით ზეთი და შეაზავეთ მარილით და პილპილით.

## ჭარხლის გარნირი

ნახევარი კილო კარგი, უბეწვო ჭარხალი გაათალეთ, დახეხეთ მსხვილ სახეხზე, მოათავსეთ მომინანქრებულ ქვაბში, დაასხით 3 სუფრის კოვზი ძმარი, 1 ლუდის ჭიქა ზეთი, 1 ლუდის ჭიქა წყალი, შედგით ნაზ ცეცხლზე 20-25 წუთით და ხშირ-ხშირად ურიეთ. მოშუშული ჭარხალი გააცივეთ, დაუმატეთ 1 ჩაის ჭიქა ბროწეულის წვენი და აურიეთ. გარნირი გემრიელია და ძალიან სასიამოვნოდ გამოიყურება თეფშზე კარტოფილის პიურესთან ერთად. თეფშის შუაგულში მოათავსეთ ჭარხლის გარნირი, ირგვლივ პიურე.

24

## მე-10 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. თანრიგი. 6. ქართველიშვილი. 9. ბასტურმა. 11. კენტავრი. 12. ტრიოლე. 13. ვერძი. 14. რაუნდი. 18. ანარი. 19. ალალი. 20. ტოგა. 21. კოზე. 22. კორეა. 24. მახნო. 26. აივანი. 27. მანგო. 28. ისლამი. 31. პლინტუსი. 32. ეპილეფსია. 34. აკომპანემენტი. 35. აზნაური.

**შვეულად:** 1. თათარი. 2. როლი. 3. ოთვანა. 4. ბასტილია. 5. ალმანახი. 7. დანიბეგაშვილი. 8. ტრანსფორმაცია. 10. ალენი. 11. კო[illegible]ნკა. 12. ტაქტიკა. 15. ინდექსი. 16. ზაირი. 17. ფარსი. 22. კანონიკო. 23. აბატი. 24. მეგრე. 25. ექსპერტი. 29. შუამთა. 30. ჩინარი. 33. ფონი.



რედაქციის მისამართი: 380096, ქ. თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14

ტელეფონები: რედაქტორის 99-98-71; პ. მგ. მდივნის 98-71-68; ცნობებისათვის 98-95-79.

მასალები გადაეცა ასაწყობად 26.11.92 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.03.93 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. ტირაჟი 30 000. შეკვ. 2284.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ აბულაძე

# ჩვენი ქალები—
# თავგანწირვის ღირსი ქალები

ჩვენს ძვირფას ქალებს, —
არ უღიმით რომელთაც ბედი,
ჩვენს საწყალ ქალებს, —
კრავებივით ჩუმებს და წყნარებს,
ახლა, ამ წუთში, უნდა ედგათ აკვნები გვერდით
და დაჰმღეროდნენ ჩვილთ —
თავიანთ მზესა და მთვარეს.

ჩვენი ქალები,
გასათხოვი ჩვენი ქალები, —
ასე ჩუმები, ასე წყნარები,
ახლაც შორეულ სამოთხეებს დაჰკანკალებენ...
იმ სამოთხეებს კი ჰკიდია რკინის კარები...

ჩვენს ძვირფას ქალებს (გაუთხოვრებს), —
თაყვანის ღირსებს,
უნდა ვუდრეკდეთ რომლებსაც კისრებს:
„ხმალი შენი და კისერი ჩემი!“
ვერას ვარგივართ...
ვერას ვშველით...
ვერ ვუხსნით ციხკრებს...
კი, უნდა თრთოდნენ უფლისწულთა მკლავებში ისე...

ჩვენი ქალები,
ღირსეული ჩვენი ქალები, —
აგრე წყნარები, აგრე ჩუმები,
კვლავ რომ დაგმანულ სამოთხეებს დაჰკანკალებენ, —
აი, იმ ქალთა ფერად ზმანებებს
დაჰკრავს ზამთრები მძაფრი ქარებით...
ცათა ალმაცერ სარკეებში იფერმკრთალებენ
თვალთა ცისფერი შადრევნები... აბრეშუმები, —
ელვარე თმათა აბრეშუმები...

ჩვენი ქალები, —
უნდა უსხდნენ რომლებიც სრაებს,
უნდა ზეობდნენ და უსმენდნენ ღვთაებრივ ქნარებს, —
უკვე რომელთა გაზაფხულებს ზამთრები ნთქავენ, —
ჩაჰყუდებიან მარტოობის უძირო ხრამებს
და ქალწულობის მოოქროვილ ბორკილებს ხრავენ...
ვერას ვარგივართ...
ვერას ვშველით...
ვერ ვუხსნით ციხკრებს...
კი, უნდა კრთოდნენ რაინდების მკლავებში ისე...

...ნაღვლობენ წლები ბებერ გულში სხივჩამქრალები.
ა ფ ს უ ს — ქალები! —
თავგანწირვის ღირსი ქალები!

1992 წ.

ინდექსი 76178

ნ 142/92



ფასი 10 მანეთი